# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

№ 60 (5918)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ნუ აიძულებთ მოქალაქეებს – „მიმართონ აჯანყებას“!..



*2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებისადმი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სადამკვირვებლო მისიების დამოკიდებულებამ საბოლოოდ გაფანტა იმის ილუზია, რომ მათ მართლაც აინტერესებთ დემოკრატიის ბედი საქართველოში*

5



**თემურ მჟავია:**

## საქართველოს პრეზიდენტის წინადადებებს ახლო მომავალში კიდევ ერთი დოკუმენტი მოჰყვება

6

**სერგეი ბაღაფში:**



## სააკაშვილის წინადადებების განხილვასაც კი არ ვაპირებთ



11

## შიშიდან სიმართლის კარამდე...

**გია მეფარიშვილი:**



## რა შემთხვევაში დამარცხდება ხელისუფლება გამანადგურებლად?..

3

**მიხეილ სააკაშვილი:**

## დიმიტრი მედვედევთან დაკავშირებით რუსეთსაც გაუმართლა და მეც

10–11





8

## დენს გავყიდით, დენს ვიყიდით?..



2

## „მილიონები სააკაშვილის დიქტატურისთვის“

# პოლიტიკა

**ამბობენ, საპრეზიდენტო არჩევნებში 22 მილიონი დოლარი დაიხარჯაო. საპარლამენტო არჩევნებს ისეთი „პირი უჩანს“, რომ უფრო მეტი დაიხარჯება. არადა, რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა იმ ფულით. შეიძლებოდა. ნამდვილად შეიძლებოდა, მაგრამ ვინაა პატრონი?**

ინფორმაცია

## დამტკიცდა პარტიული სიის ფორმა

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიამ პარლამენტის წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის საარჩევნო ბარათისა და არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის ფორმა დაამტკიცა.**

ცესკოს პრესსამსახურის ცნობით, სხდომაზე საარჩევნო კომისიამ ბოლნისის, ყაზბეგის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს პირადი განცხადებების საფუძველზე უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყვიტა. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა კონკურსი, ხოლო ჩატარების ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა სამდივნო, სადაც საბუთების მიღება 2008 წლის 31 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით იწარმოებს.

ინტერპრესნიუსი

## ლეიბორისტებმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინეს

**შალვა ნათელაშვილის თქმით, ქუთაისში მაჟორიტარ კანდიდატად ნესტან კირთაძის კანდიდატურა წარადგინეს, თბილისში, გლდანის რაიონში – გიორგი გუგავას კანდიდატურა, მცხეთის რაიონში პარტიის გენერალური მდივნის იოსებ შატბერაშვილის კანდიდატურა, თავად პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი კი კენჭს დუშეთში იყრის.**

ნათელაშვილის თქმით, ლეიბორისტულმა პარტიამ ოპოზიციას არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა, თუმცა მათ ეს წინადადება არ მიიღეს და ამიტომ ლეიბორისტულმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო.



– მოვუწოდეთ პოლიტიკურ მეგობრებს გამოგვეცხადებინა ბოიკოტი სააკაშვილის მიერ დანიშნული და მისი გემოვნებით წარმართული არჩევნებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენმა მეგობარმა პოლიტიკოსებმა ბოიკოტში მონაწილეობას ორი, თუ სამი კვირით კარვებში უშედეგოდ ყოფნა ამჯობინეს, ამიტომ ჩვენ იძულებულები ვართ ჩავებათ საარჩევნო მარათონში და ვაცხადებთ, რომ ყველა ხმა მოგვეცით ჩვენ, ლეიბორისტულ პარტიას, მის მაჟორიტარ კანდიდატებს და გარანტიას გაძლევთ, რამდენიმე თვეში მშვიდობიანად მოვაცილებთ სააკაშვილს და მის დამღუპველ პოლიტიკას. დღეს სააკაშვილის რეჟიმს იმედი აქვს რომ მაჟორიტარებით მოიგებს არჩევნებს და ფულის ტომრები, რომლებიც რაიონებში მიემართებიან მისი დავალებით იყიდიან ჩვენს ხალხს და მომავალს. ჩვენ ვაცხადებთ ნაციონალური მოძრაობიდან წარდგენილ ყველა მაჟორიტრობის კანდიდატს ერის მოღალატედ, ხალხის გამყიდველად და ქვეყნის მტრად.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა



# „მილიონები სააკაშვილის დიქტატურისთვის“,

## ანუ ბიზნესმენთა „დასაქმების“ პროგრამა დაიწყო

**არის!!! ასრულდა პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირება და „უზარმაზარი“ ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისათვის.**

**საქართველოს პარლამენტში წარმატებული ბიზნესმენები 2000-ლარიან ხელფასებს მიიღებენ, ხოლო შემდგომ საკმაოდ სოლიდური პენსიით იქნებიან უზრუნველყოფილი.**

მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, ამ ე.წ. „ლირიკული“ გადახვევისთვის, ახლავე დავუბრუნდები მთავარ თემას.

დავიწყოთ სათაურიდან:

იულიან სემიონოვის („შტირლიცის“ ავტორისძ რომანის „ბრილიანტები პროლეტარიატის დიქტატურისთვის“ სათაური გადავაკეთე, ორი სიტყვა ყველასთვის „ცნობილი“ საპრეზიდენტო პროგრამიდანაც ავილე და სათაურიც „გამოცხვა“ (დიდი მადლობა იულიან სემიონოვს და მიხეილ სააკაშვილსძ.

მე მგონი, სათაურის პირველი ნაწილით ჩემი სათქმელი საკმაოდ ნათლად ვთქვი. ხოლო იმას, რის თქმასაც სათაურის მეორე ნაწილით ვაპირებ, ახლავე მოგახსენებთ.

საქართველოს პრეზიდენტმა თავისი მთავარი სლოგანის **„საქართველო სიღარიბის გარეშე“** განხორციელება პარლამენტიდან დაიწყო.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“, არის ერთი საინტერესო ფრაზა. მატარებელში გაცხარებული პოლიტიკური კამათისას ერთ-ერთი მგზავრი ამბობს **„ღარიბი კაცი რომ მოვა ქვეყნის სათავეში, მანამდე არ იფიქრებს ჩემზე, სანამ თვითონ არ ამოივსებს კუჭსო“.**

აქედან გამომდინარე „მსხვილი ბიზნესმენების“ დეპუტატობის კანდიდატებად წარდგინება **„უაღრესად სწორი ნაბიჯია“**.

აბა წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც ღარიბი და გაჭირვებული „მოხვდა“ ისეთ სამსახურში, სადაც ხელფასი 2000 ლარია (გაგეცინათ ხომ? არა უშავს. უბრალოდ ჩათვალეთ, რომ გესიზმრებათძ. რა მოხდება ამ შემთხვევაში?

არაფერი ისეთი, რაც არ ვიცით, ანუ სანამ ის „კუჭს ამოივსებს“, სანამ რაიმე ბიზნესს ააწყობს“, სანამ თავის ნათესავებს მიხედავს, ის „ძვირფასი წლები“ გაფრინდება, რომლებიც საქართველოს აღმშენებლობაში უნდა გაგვეტარებინა. ჰოდა დათა თუთაშხიას მეგობრის, ანარქისტი ბუბუტეიშვილის თქმისა არ იყოს **„აგერ არაა ანგელოზივით მევახშე?“** (უკაცრავად „ბიზნესმენი“ძ.

ბიზნესმენთა დეპუტატობას ერთი უაღრესად „დიდი“ ეკონომიკური ეფექტიც ექნება.

სად ეცლება ბიზნესმენს სხდომათა დარბაზში პულტებით „თამაშისთვის“, ადგება და სხდომებს გააცდენს. ჰოდა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, უკაცრავად ახალი პარლამენტის ახალი თავმჯდომარე (მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს ერთი და იგივეაძ ადგება და ხელფასებს დაუქვითავს. იმ დაქვითული ხელფასებით კი უფასო სასადილოებს გავხსნით.

ხედავთ რამხელა გათვლებია?

ისე, რაღა დაგიმალოთ და ძალიან სერიოზული სვლა გააკეთა სააკაშვილმა მაჟორიტარ კანდიდატებად ბიზნესმენთა „მოზიდვით“ (როგორც ჩანს, „გურგენიძის ექსპერიმენტმა“ გაამართლა. „რა მაგის პასუხია“ და, თავის დროზე კახა ბენდუქიძე ამბობდა: „მივლინებებში ჩემი ხარჯებით დავდივარო, სახელმწიფოს და მის ბიუჯეტს ვუფრთხილდებიო“. არადა, „ჩემს მტერს“ ეგეთი მოფრთხილებაძ.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ თბილისში ჩატარებული არჩევნები, ძალიან განსხვავდება რაიონებში ჩატარებული არჩევნებისგან, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ხუთი იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა.

თუ რაიონებში ხელისუფლების „დამრტყმელ ძალას“ პოლიციის უფროსი და გამგებელი წარმოადგენენ, თბილისის მოსახლეობის უმეტესობამ საერთოდ არ იცის, თუ ვინაა მისი რაიონის პოლიციის „შეფი“ ან გამგებელი.

სწორედ ეს ფაქტორი იყო სააკაშვილის „თბილისური დამარცხების“ ერთ-ერთი განმსაზღვრელი.

მიხეილ სააკაშვილმა სწორად შეაფასა თბილისის დამოკიდებულება „ნაციონალური მოძრაობისადმი“ და ისეთი ხალხი „მოიწვია“ თბილისის რაიონების მაჟორიტარ კანდიდატებად, რომლებიც არა მარტო თავიანთ და საერთო საარჩევნო კამპანიას დააფინანსებენ, არამედ ცნობილი პარტიული „სახეებისგან“ განსხვავებით, საკმაო პატივისცემითაც სარგებლობენ.

ფინანსების გარდა, არსებობს ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც ყველა არჩევნების დროს ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს.

„ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებად დასახელებული ბიზნესმენები, ხალხში სტაბილურობის განცდას იწვევენ. ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით არამც თუ ოპოზიციის წარმომადგენლებზე, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატებზეც კი (დარწმუნებული ვარ, რომ არც გივი თარგამაძე – საბურთალოზე და არც ბესო ჯუღელი – დიდუბე-ჩუღურეთში არავითარი სტაბილურობისა და ნათელი მომავლის განცდას არ ბადებენძ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სააკაშვილმა გადაწყვიტა 21 მაისის არჩევნებზე გამჭვირვალედ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს მთელს ოპოზიციურ სპექტრს და რაც შეიძლება მაქსიმალური რაოდენობის მანდატები მოაპოვებინოს „ნაციონალურ მოძრაობას“.

ეს გასაგებია, და პრინციპში ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთი რამ რჩება გაუგებარი: რა „კანონშემოქმედებითი წვა აუტყდა“ ამ ჩვენს ბიზნეს-ელიტას? ნუთუ არ სჯობია, რომ ის საქმე აკეთონ, რაც ნამდვილად კარგად გამოსდით და კანონების ნაცვლად სამუშაო ადგილები შექმნან?

როგორც ერთი პრეზიდენტი წინა პრეზიდენტის მმართველობის მოხსენიებისას ამბობს ხოლმე „ჩვენ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით“, დღეს „ყოველ წუთას ვქმნით“ ახალ-ახალ „დასაქმების პუნქტებსო“ („ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში მართლაც შექმნილია ერთ-ერთი ასეთი „პუნქტი“, სადაც უმუშევარ ქართველებს, ყოველგვარი ფიზიკური თუ გონებრივი შრომის გარეშე, პირადობის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, ექვსი თვის განმავლობაში შეუძლიათ 200-ლარიანი ანაზღაურების მიღებაძ. არადა იმ ექვსთვიან „პუნქტებს“, ერთი კარგი საწარმო ნამდვილად სჯობია.

ამბობენ, საპრეზიდენტო არჩევნებში 22 მილიონი დოლარი დაიხარჯაო. საპარლამენტო არჩევნებს ისეთი „პირი უჩანს“, რომ უფრო მეტი დაიხარჯება. არადა, რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა იმ ფულით. შეიძლებოდა. ნამდვილად შეიძლებოდა, მაგრამ ვინაა პატრონი?

**გია გაბრიჭიძე**

ხმა მღაღადებლისა

# რა დააშავეს „თელასის“ აბონენტებმა

**ყველაზე მეტი საჩივარი ენერგოომბუდსმენთან „თელასის“ აბონენტებისგან შედის. ამის შესახებ სემეკ-თან არსებულ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის 2007 წლის ანგარიშშია აღნიშნული.**

2007 წლის განმავლობაში „თელასის“ აბონენტთა უკმაყოფილება კვლავ გამოწვეული იყო ინდივიდუალურ გამრიცხველიანებამდე პირობითად (არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად) დარიცხული ელექტროენერგიის გადასახადი. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის უშუალოდ სს „თელასის“ სათაო ოფისისათვის მიმართვის შედეგად რამდენიმე ათეული მომხმარებლისათვის განხორციელდა პირობითად დარიცხული თანხების გადაანგარიშება.



ენერგოომბუდსმენი აღნიშნავს, რომ „თელასის“ სამოქმედო არეალში დღესაც არიან ისეთი კატეგორიის მომხმარებლები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულნი და ეს პრობლემა დროულ გადაწყვეტას საჭიროებს.

„მრიცხველის არმქონე აბონენტები ელექტროენერგიის საფასურის ანგარიშსწორებას სწორედ იმ ტარიფით ახორციელებენ, როგორც სხვა აბონენტები და, შესაბამისად, მათ მიერ გადასახდელი საფასური გამრიცხველიანებისათვის ინვესტირებული თანხების კომპონენტსაც მოიცავს, – აცხადებს ენერგოომბუდსმენი.

„თელასის“ აბონენტებს კვლავ ექმნებათ ძველ დავალიანებასთან დაკავშირებული პრობლემები. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩარევის შედეგად, აბონენტებთან კომპანია დებს ხელშეკრულებას დავალიანების მაქსიმალურად გრძელ პერიოდზე განაწილების თაობაზე.

2007 წელს შემოსულ განცხადებებს შორის შედარებით იკლო ისეთი სახის საჩივრებმა, რომლებიც შეეხებოდა უძრავი ქონების გასხვისების შემდგომ ახალი მესაკუთრისათვის ძველი მესაკუთრის დავალიანებას დარიცხვას და ამ თანხების ახალი მფლობელებისაგან ამოღების მცდელობას ელექტროენერგიის გათიშვის გზით.

ინტერპრესნიუსი

**სიტუაციას უფრო ამძიმებს ის, რომ უნდობლობა ხელისუფლებას და ხალხს შორის კიდევ უფრო ღრმავდება. თუ ეს პროცესი როგორმე არ შეჩერდა ან რაიმე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, კიდევ უფრო გამწვავდება და ეს კატასტროფას გამოიწვევს**



## ◎ ინფორმაცია

### ბუშს საქართველოსა და უკრაინაზე ფიქრით არ სძინავს

**ბევრს ვმუშაობ იმისათვის, რომ საქართველოსა და უკრაინის სტატუსი ბუქარესტის სამიტზე ზუსტად განისაზღვროს. ამის შესახებ ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უკრაინულ ტელეარხ „ინტერთან“ საუბრისას განაცხადა.**

**მისივე თქმით, იგი ყველანაირად შეეცადა გადაერწმუნებინა იმ ქვეყნების ლიდერები, ვინც კი საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესვლას ეწინააღმდეგება.**

**შეგახსენებთ, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების მომხრე ქვეყნები არიან: პოლონეთი, რუმინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბულგარეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი და კანადა.**

### ღაზას სექტორში რაღა გინდოდათ, ქართველებო?

**ღაზას სექტორში საქართველოს მოქალაქეები დააკავეს, რომელთაც ეგვიპტეში გადასვლის მიზნით, საზღვრის უკანონო გადაკვეთა ედებათ ბრალად, — იუწყებიან უცხოური მედიასაშუალებები.**

**დაკავებული 13 საქართველოს მოქალაქე, რომლიდანაც 5 ქალია, ანარეშის სამხედრო ციხეში არიან გადაყვანილი. მათ ღაზას სექტორში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლები მოინახულებენ და დაკითხვის პროცესს პირადად დაესწრებიან.**

**კიდევ სამი ადამიანის ბედი, რომლებიც ანალოგიურად ცდილობდნენ საზღვრის გადაკვეთას, ამ დრომდე გაურკვეველია.**

### რუსთავის მერი არჩევნებში ნაციონალთა სიიდან

**რუსთავის ახლანდელი მერი დავით ნადაშვილი „ნაციონალური მოძრაობიდან“ 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში რუსთავიდან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იქნება.**

**როგორც ნადაშვილმა განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მისი საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში კი, ქალაქის მერი აუცილებლად კვლავ რუსთაველი იქნება.**

**— ძალიან დიდი ხიბლია იმისა, რომ მე სწორედ პირველი რუსთაველი ვარ, ვისაც საპარლამენტო არჩევნებში რუსთავის მაჟორიტარად გასვლის საშუალება მომეცა. გამარჯვების შემთხვევაში, ჩემი ეგრეთ წოდებული მემკვიდრე რუსთავის მერის პოსტზე კონკურსის წესით შეირჩევა და ის აუცილებლად რუსთაველი იქნება და ეს ტრადიცია გაგრძელდება. აქამდე ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში და ქალაქის მერი რუსთაველები არ იყვნენ. ადამიანს, რომელიც ამ ქალაქში ცხოვრობს, რუსთავისთვის გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე სხვას, — განაცხადა დავით ნადაშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

## ◎ კითხული კაცის აზრი

# გია მეფარიშვილი: რა შემთხვევაში დამარცხდება ხელისუფლება გამანადგურებლად?..

***შენდება თუ არა ჩვენთან სამართლებრივი სახელმწიფო? ამ შეკითხვით მივმართეთ საქართველოს პარლამენტის წევრს, ბაღდათის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ გია მეფარიშვილს.***

— სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ ქართული სახელმწიფო თანდათან პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ძალიან მძიმე ჭაობში ეფლობა, რაც მაშფოთებს და პესიმიზმამდე მიყავარ, — გვითხრა მან, — როგორც პოლიტიკური, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში ძალიან რთულია. ამას დაემატა ის ძველი ჭრილობები, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო დღევანდელმა ხელისუფლებამ. ვგულისხმობ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს, რომელიც ვერა და ვერ გადაწყდა. მეეჭვება, რომ უახლოეს ხანში იგი მოგვარდეს. ახლახან მოწმე გავხდით იმისა, რომ აფხაზებს შესთავაზეს ფართო ავტონომია, თუმცა უარყოფითი პასუხი მივიღეთ. დიახ, ეს საკითხი ძალიან რთულია და მინდა გითხრათ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში იგი არ გადაწყდება. მას ამ თვალსაზრისით არაფრის გაკეთება არ ძალუძს.

მეორე ძალიან სერიოზული პრობლემაა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. ქვეყანა ორ ძირითად ბანაკადაა გაყოფილი—ხელისუფლების მომხრეებად, რომელთა რაოდენობა ძალიან მცირეა, და მის დაპირისპირებულ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრად. ასევე, განყენებულად არსებობს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი, რომელიც აბსოლუტურად გულგრილია პოლიტიკური პროცესების მიმართ. ეს გულგრილობის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა ახლახან პარლამენტთან განვითარებული პროცესების გამო. მადლობა ღმერთს, შიმშილობის აქცია მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ მოსახლეობაში გულგატეხილობა მძლავრობს. ვფიქრობ, ქართველი ამომრჩეველი 2008 წლის მაისის არჩევნებზე, წინა წლების მსგავსად, აქტიური აღარ იქნება.

**— დოლარის გაუფასურებისა და ფასების მომატების ფონზე, როგორ შეაფასებთ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას?**

— ზოგადად, ქვეყანაში ეკონომიკური ვითარებაც უმძიმესია. ასეთ მძიმე სიტუაციაში საქართველოს ეკონომიკა არასდროს ყოფილა. სპეციალისტების გაანგარიშებით, ფასები განსაკუთრებით სასურსათო პროდუქტებზე, ენერგომატარებლებზე, მედიკამენტებზე, მომსახურებაზე ყოველდღიურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ასეთი დიდი არასდროს ყოფილა, გაცილებით უკეთესია საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების ადმინისტრირება, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 2007 წელს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი დაფიქსირდა. თითქმის პარადოქსია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ცოტა ხანში დაიწყება ძალიან რთული პროცესი. რაც გასაყიდი იყო, უკვე გაყიდულია. რეზერვში უკვე არაფერი აღარ დარჩა. ხელფასები და პენსიები რიგდებოდა ზუსტად ამ ხარჯებიდან, ანუ გაყიდული და ჩამორთმეული ქონებიდან. ეს არ მოხდარა, რომ იტყვიან, ეკონომიკური წინსვლის და წარმოების ზრდის შედეგად.

ამას ემატება მსოფლიო-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან და თანდათან ევროპას უახლოვდება. ცოტა ხანში მისი მსახვრალი ხელი საქართველოსაც შეეხება. ჩვენ ინტეგრირებული ვართ მსოფლიოსთან, და თუ მსოფლიო-ეკონომიკური კრიზისი განვითარდა, ბუნებრივია, საქართველოსაც ვერ აუვლის გვერდს.

მკითხველს შეუძლია პატარა ექსპერიმენტი ჩაატაროს. სახელმწიფო ბიუჯეტის 2006-07-08 წლის მონაცემი აიღოს და დააკვირდეს ექსპორტ-იმპორტის სალდოს — რას აწარმოებს საქართველო, რა გააქვს და რა შემოაქვს. ამ თვალსაზრისით სრული კატასტროფაა, ფაქტობრივად არაფერი არ იწარმოება. ყველაფერი უცხო ქვეყნებიდან შემოდის და ჩვენი ქვეყნიდან დიდი რაოდენობით ფულის ერთეული გაედინება, რომელიც ან გადმოგზავნილია ჩვენი თანამემამულეების გამომუშავებული თანხით, ან კიდევ უცხოური კრედიტების ხარჯზე. ასე რომ, ამ თვალსაზრისით ვერაფერს საიმედოს ვერ ვხედავ. ეს სიტუაცია, ვფიქრობ, კიდევ უფრო გართულდება.

**— ზოგიერთი პოლიტოლოგი, სექტემბერში დაწყებული შიდა პოლიტიკური მოვლენების ანალიზის დროს სახელმწიფო კრიზისს წინასწარმეტყველებს... თქვენ ეთანხმებით ამ აზრს?**

— შიდა პოლიტიკური პროცესი ძალიან მძიმედ ვითარდებოდა და მისი კულმინაცია იყო 7 ნოემბერი. ამით კიდევ ერთხელ წამოჩინდა, რომ სახელმწიფო კრიზისი საქართველოში რეალურია და მას თვალი უნდა გავუსწოროთ, კონკრეტული გადაწყვეტილებები მივიღოთ. ველოდებოდი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებისგან რაღაც რეალურ პროგრამას მოვისმენდი, ვინაიდან ეს იყო გადარჩენის გზა, და ასეთი რამ, სამწუხაროდ, ვერ ვნახე. იყო კოსმეტიკური რემონტი, ვითომ გადაადგილებები, ისევ ერთი კარუსელის პრინციპი, მაგრამ თვისობრივად რაიმე სიახლე არა მარტო მე, არამედ ბევრმა ჩემმა თანამემამულემ ვერ იგრძნო.

სიტუაციას უფრო ამძიმებს ის, რომ უნდობლობა ხელისუფლებას და ხალხს შორის კიდევ უფრო ღრმავდება. თუ ეს პროცესი როგორმე არ შეჩერდა ან რაიმე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, კიდევ უფრო გამწვავდება და ეს კატასტროფას გამოიწვევს. მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ. ასეთი გაუცხოება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კარგს არ მოიტანს. თუ ჩვენს ხელისუფლებას და ქვეყნის მეთაურს ჰგონია, რომ საქართველო წარმოდგენილია იმ ხალხით, რომელიც მათ რეგიონებში ხვდება ყვითელი ავტობუსებით, მინდა მათ გავაგებინო, რომ ცდებიან. მოსახლეობის განწყობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უმძიმესია. ხაზს ვუსვამ, იგი დატანჯულია უუფლებობით. სამართლის დადგენა პრაქტიკულად აღარ ძალუძს. ბიუროკრატიული სისტემა ისევ კრიზისშია. რთულ მდგომარეობაშია სასამართლო ხელისუფლება, სამართალდამცავი სისტემა.

**— თქვენ შევარდნაძის ხელისუფლების დროს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდით. მაშინდელ ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებდნენ, რომ სამართლებრივი არ იყო. რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით ვარდების რევოლუციის შემდეგ?**

— ვერ გეტყვით, რომ იდეალური იყო უწინდელი სახელმწიფო და მისი მექანიზმი. მე ნოსტალგია არ მალაპარაკებს. 2002-03 წლებში სახელმწიფო იყო ძალიან სუსტი, პრაქტიკულად სახელმწიფო ხელისუფლება ნახევარბრუნვაზე მუშაობდა. მდგომარეობა ურთულესი იყო და იმედი არსებობდა, რომ ახალგაზრდა, ენერგიული ხელისუფლება მოვიდოდა და ძველ სისტემას შეცვლიდა, სიახლეს შეიტანდა მასში.

მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს სჯეროდა ამისი. ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით ახალგაზრდული ენერგია თავისას მიაღწევდა და ქვეყანა გაუმჯობესებას იგრძნობდა.

მინდა გითხრათ, რომ ახალ ხელისუფლებას მოსვლისთანავე გარკვეული წარმატება და ხალხის მხარდაჭერა ჰქონდა და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ.

მაგრამ სამწუხაროდ, მოხდა ის, რომ სახელმწიფო არ განვითარდა ტრადიციული დემოკრატიული გზით. აღმოჩნდა, რომ ავტორიტარული მმართველობის ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელიც პიარით იმართება და დღევანდელ პირობებში ელემენტარულ მოთხოვნას ვერ პასუხობს. ამასთან, უმძიმესია ადამიანის უფლებათა დაცულობის ხარისხი. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაცია, რომლის მოსმენა ამ მოწვევის პარლამენტმა რატომღაც არ ინება. ამას მიამატეთ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების შემაშფოთებელი ინფორმაციები (ჰუმან რაითს ვოჩ, ამნისტი ინტერნეიშნლ...).

ასე რომ, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარება საარჩევნო ვნებათაღელვის მომატებასთან ერთად კიდევ უფრო დამძიმდება. არსებულმა ხელისუფლებამ ერთი კრიზისი საპრეზიდენტო არჩევნებისა და 7 ნოემბრის შემდეგ უკვე დაძლია, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ვარაუდობენ ხალხის აზვირთების ახალ ტალღას.

იხ. 4 გვ.



№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

# კოლიტიკა

**ბუნებაში არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, სადაც პოლიტიკური კორუფციის ელემენტები არ ყოფილიყოს. მაგრამ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ელიტარული კორუფციის დონე შემზარავია. ერთ დროს არასერიოზული ქონებრივი მდგომარეობით მოსული ხალხი ისე გათავხედდა, დღეს უკვე თვალს აღარ უსწორებენ თანამემამულეებს**

№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

**ექსპერტი**

## „რუსეთმა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებიდან გამოსვლით საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება მოახდინა“



**ექსპერტი ირაკლი მენაღარიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთს, სტაბილურობის თვალსაზრისით, თავად აწყობს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებაში გაერთიანება, თუმცა ის ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლას პოლიტიკური მანიპულაციისათვის იყენებს.**

მენაღარიშვილის თქმით, 1999 წელს სტამბოლში გაფორმებული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებისას ნატოს წევრი ქვეყნები რუსეთის მიერ საქართველოდან და მოლდოვადან სამხედრო ბაზების გაყვანას ითხოვდნენ, რისი ვალდებულებაც მოსკოვმა სტამბოლის ეუთოს სამიტზე აიღო. ექსპერტის თქმით, სწორედ, ამ ვალდებულებებს აარიდა თავი საქართველოს ჩრდილოელმა მეზობელმა, როდესაც ამ შეთანხმებიდან გამოსვლაზე განაცხადი გააკეთა.

„ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმება ერთადერთი ქვაკუთხედია სტაბილურობის თვალსაზრისით. ამ შეთანხმების არსებობა მნიშვნელოვანია ასევე რუსეთისთვისაც, მაგრამ რუსეთს არ სურს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და სამხედრო ბაზები გაიყვანოს მოლდოვადან და საქართველოდან. საქართველოდან თითქმის გავიდა რუსეთის სამხედრო ბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა დარჩა გუდაუთის ბაზა, რომლის გაყვანაც რუსეთს არ სურს. ეს არის რუსეთის მხრიდან კიდევ ერთი პოლიტიკური ზეწოლის ხერხი საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირების თვალსაზრისით“, – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ირაკლი მენაღარიშვილმა.

ბუქარესტის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სპეციალური განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმების ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გამოსვლა, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების რეჟიმის მთლიანობას დარღვევით ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმება 1990 წლის ნოემბერს, პარიზში ნატოსა და ვარშავის პაქტის ქვეყნებს შორის გაფორმდა. შეთანხმებას ხელი 28 ქვეყანამ მოაწერა.

ჯი-ეიჩ-ენი

**ინფორმაცია**

## დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე



**„მოძრაობა 1978“ განათლების სამინისტროსგან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურისთვის პრიორიტეტის მინიჭებას ითხოვს.**

**„მოძრაობა 1978“-ის წევრებმა განათლების სამინისტროსთან აქცია გამართეს. ისინი განათლების სამინისტროს შენობასთან პლაკატებით მივიდნენ, რომლითაც ძირითადად ქართული ენის სიწმინდის დაცვას ითხოვდნენ. აქციის მონაწილეებს ყელზე ლურჯი სახვევები ეკეთათ, წარწერით – „1978“. მოძრაობის ხელმძღვანელებმა სამინისტროში თხოვნა შეიტანეს, რომლითაც ისინი განათლების სამინისტროსგან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურისთვის პრიორიტეტის გადახედვას და ამ საკითხზე დისკუსიის გამართვას ითხოვენ.**

**როგორც მოძრაობის თავმჯდომარემ ლევან ჩიტაძემ განაცხადა, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა უფრო დაბალი ქულით ფასდება, ვიდრე თუნდაც ინგლისური ენა. კერძოდ, ერთი ქულით ქართული, 2-3 ქულით ინგლისური. მოძრაობის წევრები მინისტრისგან აღნიშნულის შეცვლას ითხოვენ.**

ინტერპრესნიუსი

**კითხული კაცის აზრი**

**(მესამე გვერდიდან)**




## გია მეფარიშვილი: რა შემთხვევაში დამარცხდება ხელისუფლება გამანადგურებლად?..

უკვე გაისმის ასეთი, საკმაოდ რეალური პროგნოზი, ვინაიდან დღევანდელი პოლიტიკური ხელისუფლება ხვალ უკვე დემოკრატიული პრინციპებით არჩევნებს ვეღარ ჩაატარებს. და თუ გამჭვირვალედ, პატიოსნად და კანონიერად ჩაატარა, დარწმუნებული ვარ, გამანადგურებლად დამარცხდება. ასეთია ჩემი პროგნოზი. მაგრამ გულუბრყვილოდ არ მჯერა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მართვის ბერკეტებს ასე იოლად დათმობს. აქ შესაძლოა ძალიან ცუდი რამ მოხდეს, თუ კეთილ ნებას არ გამოავლენს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე.

ხელისუფლება ბევრს ლაპარაკობს საერთაშორისო განვითარებაზე, რომ სტრატეგიული პარტნიორები თურმე საქართველოს მხარს უჭერენ. მაგრამ საკითხავია, რას უჭერენ მხარს – საქართველოს თუ ხელისუფლებას? ამ კითხვას პასუხი სჭირდება.

**– ხელისუფლება თავს იწონებს კორუფციის აღმოფხვრით და სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებითაც...**

– დღეს მეწარმეების საქმიანობა გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე 10, ან თუნდაც 2 წლის წინათ იყო. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების საყურადღებოდ ვიტყვი, რომ ქართულ სამეწარმეო სივრცეში ამ თვალსაზრისით არავითარი წინსვლა არ არსებობს. სიცრუეა ის, რომ საგადასახადო კოდექსზე ასეთი დაფა-ზურნა ატყდა, და რომ მსოფლიოში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა გვაქვს. ვკითხოთ მეწარმეებს, რა დახმარება და შეღავათი იგრძნეს. იაფფასიანი კრედიტები ჩემში ან ირონიულ ღიმილს იწვევს, ან ჩვეულებრივ მწარე გაცინების განწყობას მიქმნის. ეს არის პიარით მართული პოლიტიკური პროცესები, ცუდი და არაფრისმთქმელი შინაარსით, რომელსაც სასწრაფოდ შველა სჭირდება.

ან კიდევ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოში კორუფცია დამარცხდა და მეწარმეები უფრო უკეთესად გრძნობენ თავს, ვიდრე ეს იყო რამდენიმე წლის წინათ, ელემენტარული საქმეში ჩაუხედაობა, ან უბრალოდ ინფორმაციის არარსებობაა. ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ საქართველოში კორუფცია დამარცხდა. იგი მნიშვნელოვნად შეიზღუდა ე. წ. ქვედა ეშელონებში, მაგრამ წარმოუდგენლად გაიფურჩქნა უმაღლეს ეშელონებში. ეს არის ჩვენი უბედურება, ძალიან სერიოზული პრობლემა, რომელიც ცოტა ხანში უმძიმეს შედეგამდე მიგვიყვანს.

**– თქვენ ახსენეთ, რომ ამომრჩევლის ნდობას არჩევნების მიმართ ბზარი გაუჩნდა. მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ, იმიჯის ასამაღლებლად, ხელისუფლებამ არსებითად რა უნდა მოიმოქმედოს?**

– კეთილი უნდა ინებოს ხელისუფლებამ და ის ოდიოზური ფიგურები, რომლებიც დღეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან, დაუყოვნებლივ მოაცილოს და მათ საკადრისი მიუზღოს. ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვინც სამსახურებრივი მდგომარეობით ამ 2-3 წლის განმავლობაში უზარმაზარი ქონება დააგროვა, უზარმაზარ მიწის ნაკვეთებს, საწარმოო საშუალებებს და დიდძალ ფულს დაეუფლა. მათ ეს ფული გადაქაჩეს უცხოურ ბანკებში და ახლა თავს კარგად გრძნობენ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მათ შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია არა აქვს, და არხეინად გრძნობენ თავს, ეს დიდი შეცდომაა. ყველამ ყველაფერი იცის. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და ამ ადამიანების თავნებობას წერტილი დაუსვას.

ბუნებაში არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, სადაც პოლიტიკური კორუფციის ელემენტები არ ყოფილიყოს. მაგრამ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ელიტარული კორუფციის დონე შემზარავია. ერთ დროს არასერიოზული ქონებრივი მდგომარეობით მოსული ხალხი ისე გათავხედდა, დღეს უკვე თვალს აღარ უსწორებენ თანამემამულეებს. ჩემთვის გაუგებარია, რა საჭიროა ასეთი ძვირფასი მანქანები, ფეშენებელური კაბინეტები, საზღვარგარეთის უამრავი მივლინება და ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ცხოვრება, როდესაც ქვეყანა სულს ღაფავს.

ვერაფრით ვერ გავიგე, რატომ უნდა ტარდებოდეს ყოველ წელიწადს ავტოპარკის გამოცვლები ყველა უწყებასა და დაწესებულებაში. ძვირფასი ტექნიკა და მანქანები ეს ყველაფერი რის ხარჯზე და საიდან? ნუთუ საკუთარი მოქალაქის მიმართ ელემენტარული მორიდება არ უნდა არსებობდეს? მინისტრი, ვისაც 120-150 ათასდოლარიანი მანქანა აქვს, მინისტრად არ უნდა მუშაობდეს. და რამდენია ასეთი? ეს ეხებათ პარლამენტარებს, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებს. დამერწმუნეთ, ასეთი რამ უწინ არ იყო. ამას ვერავინ ბედავდა.

**– იცავს თუ არა კანონის უზენაესობას ხელისუფლება და რატომ გამოცხადდა მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა ქვეყანაში?**

– კანონის უზენაესობის განცდა სახელმწიფოს მშენებლობის ელემენტარული ქვაკუთხედია. თუ ადამიანი პატივს სცემს კანონს, იგი უფლებამოსილია ქვეყნის აღმშენებლობაზე იფიქროს, რასაც მიაღწევს კიდეც. საქართველოში ეს განცდა არ არის, არსებობს შიშის გრძნობა, რამაც გარკვეულ პერიოდში თავისი დრო ამოჭამა. ხალხმა ამას უკვე თვალი გაუსწორა. მოსახლეობას აღარ ეშინია არც პირბადიანი ხალხის და არც ტელედაჭერებისა. ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა. მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა გამოცხადდა: არადამიანური სასჯელი დაწესდა, გადაივსო ქართული ციხე-კოლონიები. დღეს საქართველოში 22 ათასზე მეტი პატიმარია. ამაზე რატომ არ ფიქრობს ხელისუფლება? რატომ არ აღელვებს კანონმდებლობა, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა ჩვენი გენოფონდი. შეიძლება ჩვენი ქვეყნის ტრადიციებისა და მენტალობის ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 12 წლიდან დაეკისროს ადამიანს? საქართველოში ეს გაკეთდა და რამდენიმე დღეში კანონი ძალაში შედის.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, შემოიტანეს აბსოლუტურად გაუაზრებელი სასჯელის შეკრების ამერიკული წესი. დღეს 30-40-წლიანი სასჯელებია. თუ იფიქრა ვინმემ, ამ გადმომღერებას რა შედეგი მოჰყვება?

გაუაზრებელი, ყოველგვარი კონცეფციის გარეშე შექმნილი საკანონმდებლო ბაზით და პრაქტიკით ჩვენ ვუტევთ გენოფონდს. შედეგი კი ურთულესი იქნება.

საზოგადოება დიდი ხანია მოითხოვდა, საპროცესო შეთანხმებისა და მოქალაქეების ქონების ჩამორთმევის გამო სახელმწიფოს გამოფხიზლებას, მაგრამ ეს იყო ბიუჯეტის შევსების წყარო, პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების გზა. ხომ ყველას ახსოვს თაბუკაშვილის ქუჩაზე მომხდარი გამაოგნებელი თვითნებობა, რომელსაც მთელს დემოკრატიულ მსოფლიოში, დარწმუნებული ვარ, ანალოგი არ მოეძებნება. ახლა ქონების ჩამორთმევები და გადაფორმებები?

ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშეა. ჩემი პროგნოზები ძალიან პესიმისტურია, მაგრამ ამას ვამბობ არა ნიშნის მოგებით, არამედ როგორც რიგითი მამულიშვილი. ვფიქრობ, ურთულესი პროცესები განვითარდება, თუ ხელისუფლება დროზე გონს ვერ მოეგო. ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში ძალიან სერიოზული გამოცდის პერიოდი დგება. მინდა, ჩემმა ქვეყანამ და ხალხმა ეს გამოცდა სერიოზულად ჩააბაროს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

# ადუღებული დრო

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებისადმი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სადამკვირვებლო მისიების დამოკიდებულებამ საბოლოოდ გაფანტა იმის ილუზია, რომ მათ მართლაც აინტერესებთ დემოკრატიის ბედი საქართველოში



## მიმართვა საზოგადოებისადმი

*საქართველოში შექმნილი ისედაც მძიმე პოლიტიკური და მორალური კრიზისი კიდევ უფრო დაამძიმა ოპოზიციის თავგანწირულმა ნაბიჯმა — თითქმის სამკვირიანმა შიმშილობამ, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ მოიტანა რამდენადმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგი, საზოგადოებაში კი გაამძაფრა უიმედობისა და აპათიის განცდა. გავრცელებული არგუმენტი — შიმშილობის აქციამ ის პოზიტიური შედეგი გამოიღო, რომ ხალხს კიდევ ერთხელ დაანახა ხელისუფლების (განსაკუთრებით, პარლამენტის თავმჯდომარის) პოლიტიკური არაკეთილსინდისიერება და საძრახისი მორალური სახე, ადამიანთა სიცოცხლის არაფრად ჩაგდებაო, არსებითად სწორია. მაგრამ არ არის საკმარისი: ხალხი აქამდეც კარგად ხედავდა და დღესაც ხედავს, თუ რა ყოვლად უსამართლო, უკადრის და ცინიკურ მეთოდებს იყენებს ხელისუფლება ძალაუფლების შესანარჩუნებლად. შორს რომ არ წავიდეთ, ამის საილუსტრაციოდ 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლის ბარბაროსული მეთოდებით დაშლა, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და 2008 წლის 5 იანვრის ფალსიფიცირებული საპრეზიდენტო არჩევნებიც კმარა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხელისუფლების უკიდურესი ცინიზმის გამოვლენაა ისიც, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების ბედი ხელისუფლებამ კვლავ ოდიოზურ თარხნიშვილს ჩაუგდო ხელში.*

*მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით დღევანდელი დღის სურათი ძირითადად ასე გამოიყურება:*

ა) შესამჩნევი შედეგი მოჰყვა ხელისუფლების მცდელობას — საზოგადოებას დაეკარგა ნდობა ოპოზიციის მიმართ, შეელახა მისი ავტორიტეტი ხალხის თვალში და შეერყია რწმენა, რომ ოპოზიციას შეუძლია არჩევნების გზით სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა;

ბ) ხელისუფლებამ ოპოზიცია გადაიყვანა მწვავე წინასაარჩევნო ცაიტნოტის რეჟიმში და ამით სერიოზული რეიტინგის მქონე ოპოზიციურ ორგანიზაციებს უკიდურესად გაუძნელა სრულფასოვანი წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება;

გძ ხელისუფლება თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ცდილობს არაკეთილსინდისიერად გამოიყენოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ავტორიტეტი — ოპოზიცია ზედმიწევნით ითვალისწინებს მისი უწმინდესობის მაღალ მისიას და ქრისტიანული მორჩილებით აღასრულებს მის ყოველ სიტყვას, ეკლესიათა მნგრეველი ხელისუფლება კი მეთოდურად ახდენს კათოლიკოს-პატრიარქის ყველა სურვილისა თუ წინადადების იგნორირებას.

დასანანია, რომ ოპოზიციამ ადეკვატურად ვერ უპასუხა საზოგადოების სურვილსა და განწყობას, ვერ დაიცვა ამომრჩეველთა ხმები, ვერ შეინარჩუნა ერთიანობა, პირიქით, შეწყვიტა საპროტესტო გამოსვლები, წამოეგო ხელისუფლების ანკესს და მასთან გამართა უსარგებლო, დროის გაჭიანურებისათვის გამიზნული, შეთანხმებათა შეუსრულებლობასა და ურცხვ ტყუილზე აგებული და, ამდენად, იმთავითვე მარცხისათვის განწირული „დიალოგი“ (მარტო 15 მარტისათვის თარიღდებულ) გადაყენების ბურჯანაძისეული დაპირება რად ღირს!ძ.

პარალელურად, ხელისუფლებამ პარლამენტის, როგორც უპრინციპო და უნებისყოფო ინსტრუმენტის, გამოყენებით ჩაატარა საქართველოს კონსტიტუციის არამართლზომიერი „ჭრა-კერვის“ მორიგი პროცედურა და შექმნა მომავალი არჩევნების გაყალბებისათვის საჭირო „სამართლებრივი“ ნიადაგი. ზემოხსენებულ „დიალოგს“ კი შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ თანამდებობიდან გადადგა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი თამარ კინწურაშვილი. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ მოახერხა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სამეურვეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ ეს საბჭო უახლოეს დღეებში აირჩევს ხელისუფლების მიერ „შეკვეთილ“ გენერალურ დირექტორს. თუკი ამას ტელეკომპანია „იმედის“ გარშემო განვითარებულ მოვლენებსაც დავუმატებთ, სრულიად აშკარა გახდება, რომ ხელისუფლებამ არსებითად განახორციელა ქართული ტელესივრცის მონოპოლიზება და, შესაბამისად, ამას იგი მეტად „ეფექტიანად“ გამოიყენებს საპარლამენტო არჩევნების უცილობელი გაყალბების პროცესში. თუკი ხალხის ნდობადაკარგული, რეალურად ურეიტინგო მმართველი პარტიისათვის საჭირო გახდება, ქართველი საზოგადოება ტელეეთერით კიდევ იხილავს სიცრუის, ცილისწამების, სამშობლოს „მოღალატეთა“ გამოვლენა-გამოაშკარავების ამსახველ სამარცხვინო „ტელესერიალებს“.

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებისადმი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სადამკვირვებლო მისიების დამოკიდებულებამ საბოლოოდ გაფანტა იმის ილუზია, რომ მათ მართლაც აინტერესებთ დემოკრატიის ბედი საქართველოში (ამ მხრივ, გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ე. წ. „ბოდენის დასკვნა“, თუმცა ვერც ამან იქონია რამდენადმე შესამჩნევი გავლენა მოვლენათა განვითარებაზეძ. აშკარაა, რომ ისინი თავიანთი შეფასებების დროს ძირითადად ითვალისწინებენ არა ხალხის მიერ არჩევნებში თავისუფლად გამოვლენილ ნებას, არამედ პოლიტიკურ კონიუნქტურას. ამ დღეებში მათიას იორშის თბილისში გამოჩენა პირველი ნიშანია იმისა, რომ ამ მხრივ მომავალ არჩევნებშიც არაფერი შეიცვლება. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიკაციის სულისჩამდგმელისა და, ამდენად, ლეგიტიმაციას მოკლებული საქართველოს ფაქტობრივი პრეზიდენტის მთავარ მფარველსა და დასაყრდენს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას, სამწუხარო აუცილებლობა გვაიძულებს დავასკვნათ: ამერიკის ხელისუფლებისათვის დემოკრატიის პრინციპები ძვირფასი მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებშია, სხვაგან კი გეოპოლიტიკური ინტერესებია მთავარი და არა დემოკრატია. სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას ეწირება ჩვენს თვალწინ დემოკრატია საქართველოში.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ზემოთქმული იმას, რომ საზოგადოებამ ფარ-ხმალი უნდა დაყაროს და მორჩილად შეხვდეს ხელისუფლების მხრიდან ხალხის ნებისა და სულისკვეთების მორიგ იგნორირებასა და აბუჩად აგდებას?

ნიშნავს თუ არა ყოველივე ზემოთქმული იმას, რომ ოპოზიცია უნდა შეეგუოს შექმნილ არასახარბიელო ვითარებას და არ სცადოს დარჩენილ დროში უკიდურესი ძალისხმევით მდგომარეობის გამოსწორება, ხალხის ნდობის აღდგენა და გამარჯვების მოსაპოვებლად უკომპრომისო და ურთიერთკოორდინირებული პოლიტიკური ბრძოლის წარმართვა?

რასაკვირველია, არა!

ყველანი ვალდებული ვართ, ამ საბედისწერო ჟამს წინ აღვუდგეთ საპარლამენტო არჩევნების ფალსიფიკაციას.

დღეს საქართველოს ბედი, ჩვენი აწმყო და მომავალი, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის ერთიანობაზე, მის მტკიცე ნებასა და ბრძოლისუნარიანობაზე; ოპოზიციის თანამიმდევრულობასა და კეთილგონიერებაზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს უბედურებად და სამწუხარო ტრადიციად ქცეულ გაყალბებულ არჩევნებს აუცილებლად მოჰყვება ხალხის სპონტანური რეაქცია, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, გადაიზარდოს ქვეყნის დამანგრეველ უმართავ პროცესებში. და ასეთ შემთხვევაში ქვეყნისა და ხალხისათვის ვერაფერი სანუგეშო იქნება ის სასტიკი განაჩენი, რომელსაც ისტორია საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას გამოუტანს.

სრულიად აშკარაა, რომ პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატთა ცნობილი „ინიციატივა“ მმართველი პარტიის მიერ იყო დაკვეთილი და ეს პროცესი საბოლოოდ იმით სრულდება, რომ ვღებულობთ „კარუსელების“ ახალ ფორმას — ნაციონალების საკადრო დეფიციტის შევსებას აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებითა (მინისტრები, გუბერნატორები, ელჩები, გამგებლები და სხვ.ძ და მოქმედი ბიზნესმენებით.

ყველაფერი იქით მიდის, რომ ნაციონალები ამ არჩევნებზეც მაქსიმალურად გამოიყენებენ მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების აპრობირებულ ტექნოლოგიურ რესურსებს. ყოველივე ამას ოპოზიციამ უნდა დაუპირისპიროს კოორდინირებული წინასაარჩევნო კამპანია, კერძოდ, მაჟორიტარულ არჩევნებში კანდიდატების საარჩევნო ოლქების მიხედვით წარდგენისას და მთლიანად საარჩევნო პროცესში ერთიანი სტრატეგიის შემუშავება და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა. მხოლოდ ამ გზით შეძლებს ოპოზიცია ამომრჩეველთა მხარდაჭერასა და, შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებას. აქვე ვურჩევთ წინასაარჩევნოდ შექმნილ და, ამდენად, ჯერ კიდევ სათანადო რეიტინგის არმქონე პოლიტიკურ პარტიებს, გაითვალისწინონ, რომ 5-პროცენტიანი ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში დაკარგული ხმების ძირითადი ნაწილი ნაციონალების საარჩევნო აქტივს დაემატება.

„ქართული აკადემია“ კატეგორიულად აფრთხილებს საქართველოს ხელისუფლებას — ნუ აიძულებს მოქალაქეებს, „მიმართონ აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. პრეამბულაძ.

„ქართული აკადემია“
29.03.08

## ნუ აიძულებთ მოქალაქეებს „მიმართონ აჯანყებას“!..

## ინფორმაცია

# ოსებს შორის შიდაგარჩევები თუ კვლავ პროვოკაცია?



**ცხინვალის** დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციით, ზნაურის რაიონის სოფელ ოქონაში დე ფაქტო სამართალდამცველების პოსტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების 40-კაციანმა რაზმმა ცეცხლი ნაღმტყორცნებით გაუხსნა და სროლა 40 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

დე ფაქტო რეჟიმის განცხადებით, ქართულმა მხარემ სროლა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც ოსმა ძალოვნებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს.

სოფელ ოქონაში მომხდარი ინციდენტის ადგილზე მუშაობა სამშვიდობოებმა და ეუთო-ს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფმა უკვე დაასრულა.

ადგილი, სადაც დღეს სროლა დაფიქსირდა, სამშვიდობოების უახლოესი პოსტიდან 4 კილომეტრით არის დაშორებული და ამდენად, სამშვიდობო ძალების ჯარისკაცებს ვითარების გაკონტროლება არ შეეძლოთ.

ქართული მხარე ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და ინციდენტს ოსებს შორის შიდაგარჩევებს უკავშირებს.

ინტერპრესნიუსი

# წყლის ნაყვა?!

● აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინადადებებს, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის განუსაზღვრელი ავტონომიური უფლებების შესახებ, მიუღებელი უწოდა



◎ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

## სერგეი ბაღაფში: მიხეილ სააკაშვილის წინადადებების განხილვასაც კი არ ვაპირებთ

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინადადებებს, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის განუსაზღვრელი ავტონომიური უფლებების შესახებ, მიუღებელი უწოდა.**

„აღნიშნული წინადადებები ჩვენთვის მიუღებელია. აფხაზმა ხალხმა საკუთარი ნება რეფერანდუმზე უკვე გამოხატა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა გადაწყვიტა. ამიტომაც მიხეილ სააკაშვილის წინადადებების განხილვასაც კი არ ვაპირებთ“, – განაცხადა სერგეი ბაღაფშმა.

მისივე თქმით, ერთადერთი, რაზეც აფხაზეთისა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები შეიძლება შედგეს, ეს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმება და კოდორის ხეობიდან ჯარის გამოყვანის საკითხია.

„რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ რუსეთს ჰქონდა, აქვს და ექნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ყოფნის უფლება. რუსეთმა აფხაზეთს მშვიდობა და სტაბილურობა მოუტანა, სააკაშვილის განცხადებები კი ბუქარესტში ნატოს სამიტის წინ სპეციალურადაა გაკეთებული“, – განაცხადა ბაღაფშმა და დასძინა, რომ ეს საქართველოს პრეზიდენტის მორიგი პიარაქციაა.

შეგახსენებთ, რომ 28 მარტს საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთის სეპარატისტული ტერიტორიის მიმართ ახალი ინტენსიური სამშვიდობო გეგმის ინიციატივით გამოვიდა.

„შეუზღუდავი ავტონომია, ფართო ფედერალიზმი და საქართველოს ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებში სერიოზული წარმომადგენლობა – ეს ყველაფერი გარანტირებული იქნება საერთაშორისო გარანტორების მხარდაჭერით“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ მხოლოდ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც არ შეიძლება მოლაპარაკებების წარმოება, ეს არის – საქართველოს დეზინტეგრაცია.

**საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთს შემდეგი პოლიტიკური უფლებები შესთავაზა:**

**1. უფლებას, დაიკავონ საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, რომელიც სპეციალურად აფხაზებისთვის შეიქმნება; გარანტირებული წარმომადგენლობა საქართველოს ყველა სახელისუფლო ორგანოში, პარლამენტისა და მინისტრების ჩათვლით, ასევე ადგილობრივ მთავრობაში;**

**2. ვეტოს უფლება აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო კანონზე, რომელიც დაკავშირებული იქნება აფხაზეთის კონსტიტუციურ სტატუსთან და აფხაზური კულტურის, ენის და ეთნიკურობის შემდგომ განვითარებასთან;**

**3. ერთობლივად კონტროლირებადი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა. ზონები შეიქმნება გალის რეგიონში და მოიცავს იმ ტერიტორიებს, რომლებიც კონფლიქტის გამო მოსახლეობისაგან დაცარიელდა, ასევე ოჩამჩირის საზღვაო პორტი გაკონტროლდება აფხაზეთის და საქართველოს ხელისუფლების მიერ, ყველა სხვა გარე მხარის ჩარევის გარეშე;**

**4. აფხაზური და ქართული სამართალდამცავი უწყებების და საბაჟო სამსახურების თანდათანობით შერწყმას;**

**5. აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტიები აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. მიხეილ სააკაშვილმა საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა არსებითი როლი შეასრულონ ამ გარანტიების უზრუნველსაყოფად. მან ასევე მოწვევა გაუგზავნა რუსეთის ფედერაციას – კონფლიქტში მონაწილე მხარიდან გადავიდეს შუამავლის როლზე, საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრებთან ერთად.**

ჯი-ეიჩ-ენი



## თემურ მჟავია: საქართველოს პრეზიდენტის წინადადებებს ახლო მომავალში კიდევ ერთი დოკუმენტი მოჰყვება

**აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში მიესალმება საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ ახალ წინადადებებს აფხაზეთთან მიმართებაში და აცხადებს, რომ ამ დოკუმენტს ახლო მომავალში აფხაზეთისათვის განკუთვნილი კიდევ უფრო დახვეწილი წინადადებები მოჰყვება.**

მჟავია აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამჟამად ზემოთ ნახსენებ დოკუმენტზე მიმდინარეობს მუშაობა და სულ მალე მისი შინაარსი ფართო საზოგადოებისათვის გახდება ცნობილი.

„მივესალმები საქართველოს პრეზიდენტის ახალ ინიციატივებს რომლიც მან რამდენიმე დღის წინათ წარმოადგინა, თუმცა მივიჩნევ, რომ აღნიშნული შეთავაზება დეკლარაციული ხასიათისაა, ჩვენ კი უფრო კონცეპტუალური დოკუმენტი გვჭირდება, რომელზეც, ჩემი ინფორმაციით, ამჟამად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს და მალე მისი შინაარსი საზოგადოებისათვის გახდება ცნობილი“, – აცხადებს თემურ მჟავია.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასევე მიიჩნევს, რომ აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა უფრო მოსინჯვითი ხასიათისაა, რომელსაც კვალდაკვალ საერთაშორისო გარანტიებით გამყარებული კიდევ ერთი დოკუმენტი მოჰყვება.

„ზოგადად, ამგვარი დოკუმენტის წარდგენა აფხაზური მხარისათვის ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა მოვახერხოთ აფხაზი ხალხის შემობრუნება საქართველოსკენ და მათთვის იმის დამტკიცება, რომ საქართველოსთან ურთიერთობა მათთვის გაცილებით უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვა ვინმესთან“, – აცხადებს მჟავია და დასძენს, რომ მიუხედავად ამჟამად არსებული გაუცხოების დიდი ხარისხისა, საქართველოს ეს მაინც უნდა მოახერხოს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ნაცნობი სურათი

**პრეზიდენტმა აფხაზეთთან კონფლიქტის მოწესრიგების ახალი გეგმა გაახმიანა. არაფერი ისეთი, რისი მოფიქრებაც აქამდე – და დიდხანს აქამდე – არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ახალი. ბოლოს და ბოლოს, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ხომ საქართველოს სინამდვილეში ჯერ არ „გაჟღერებულა“...**

აფხაზ სეპარატისტთაგან პირველი, ვინც სააკაშვილის წინადადებებს გამოეხმაურა, გალის რაიონის მოურავი ქიშმარია იყო (არ ვიცი, იქ „გამგებელს“ უწოდებენ თუ არა-ძ: ჩვენ არ გვჭირდება თქვენგან არც ვიცე-პრეზიდენტი, არც ვიცე-პრემიერი, არც ვიცე-„დვორნიკიო“ (გაგვაშაყირა, რა!...ძ. ქიშმარია იმიტომ გახლდათ პირველი, რომ იმ მომენტში მისი ზემდგომი სეპარატისტებისგან ყველა „ზემოთ“ იყო ასული... მოსკოვში (კედელზე დაკიდებულ საბჭოთა კავშირის რუკას თუ წარმოიდგენთ, ხომ გამოდის სოხუმიდან – „სუხუმ“-ად რომ აქციეს, რუსულ ყაიდაზე და ჩვენ ჯიბრზე – ზემოთ...ძ.

ჰოდა, გალის პირველ კაცს რომ ვუსმენდი, ერთი ანეკდოტი გამახსენდა, წვერიანი. ცოტა უწმაწურია და მკითხველს წინასწარ ვუხდი ბოდიშს, მაგრამ რაკი გამახსენდა, რაღაც ხომ ჰქონია საერთო ამ სიტუაციასთან:



ორი გლეხი სულ ექიშპებოდა ერთმანეთს (ამირან და გრამიტონისა არ იყოს-ძ... ხელმწიფეს თითო კალათი მიართვეს, ერთმა ქლიავით სავსე, მეორემ – ვაშლით. არ მოეწონა მბრძანებელს პირველის ძღვენი და – ჩახადეთ შარვალი და ეგ ქლიავი უკან შეუქლიავეთო, უბრძანა მსახურთ. ქლიავის მიმტანს რომ სჯიდნენ, სიცილით კვდებოდა, რა გაცინებსო, რომ ჰკითხეს – რა და, ვაშლიც რომ არ მოეწონოს ხელმწიფეს, ნეტავი მაყურებინა, მე რომ ასე ვარ, რა დღეში ჩავარდება ჩემი მეზობელიო...

ახლა ხომ მიხვდით ჩემ ფიქრს – სადაც კი ქიშმარიამ ასეთი პასუხი გაბედა, მერე ბაღაფში და შამბა რაღას იტვიან-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი...

უახლოეს დღეებში ყველაფერი ნაცნობი სქემით წავა: ჩვენები – პრეზიდენტი და „მთელი სამეფო ჯარი“ – გააგრძელებენ, რაც ძალა და ღონე აქვთ, ახალი შეთავაზების გაბუქვას (ეგებ ზოგიერთი საზღვარგარეთელი მეგობარიც აიყოლიონ ამაშიძ; ისინი კი ახალ წინადადებებს სასაცილოდაც არ იმყოფინებენ, ანუ ჩვენს გაშაყირებას განაგრძობენ მოსკოველ მფარველებთან ერთად. საზიდარი კი კვლავ იქ იდგება, საქმე კი კვლავ ვერ წავა წინ...

ლუკა გორგაძე

◎ ინფორმაცია

### აპრილის თვეში – მომატებული პენსია

**აპრილის შუა რიცხვებიდან საქართველოს მოქალაქეები, ასაკის მიხედვით, მომატებულ პენსიას მიიღებენ.**

**როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, 15 აპრილიდან საქართველოს მოქალაქეები ასაკის მიხედვით 70-ლარიან პენსიას მიიღებენ, ხოლო შრომის სტაჟის მქონე პენსიონერებს პენსია 80 ლარი გაუხდებათ.**

**კვიტაშვილის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში პენსიების გაზრდა ინვალიდებისთვისაც იგეგმება.**

**2009 წლის 1 იანვრიდან კი, საქართველოში პენსია 100 აშშ დოლარს მიაღწევს. პენსიების გაზრდა 100 დოლარამდე ეტაპობრივად განხორციელდება.**

ინტერპრესნიუსი

№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

# ნაბიჯი

● აფხაზეთში ვერ ჩამოყალიბდა ვერც სამოქალაქო საზოგადოება, ვერც პოლიტიკური საზოგადოება. ისინი გარკვეულწილად ზურგს უკან გრძნობენ საკმაოდ მძლავრი ქვეყნის სუნთქვას




**◎ დავა**

## ზურაბ შენგელია: სააკაშვილის წინადადებები აფხაზეთის ჭეშმარიტი გულშემატკივრებისთვის მისაღებია

***საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ აფხაზური მხარისათვის გაკეთებულ შეთავაზებებზე „ინტერპრესნიუსი“ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელს ზურაბ შენგელიას ესაუბრა, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში არსებული პრობლემების მიუხედავად, აფხაზურ საზოგადოებასთან ურთიერთობებს დღემდე ინარჩუნებს და აფხაზეთში რეალურად არსებულ სიტუაციას კარგად იცნობს.***

**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებდით საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინადადებებს აფხაზური მხარისადმი, რომლითაც ქართულმა მხარემ აფხაზურს ფართო ავტონომია, ოჩამჩირესა და გალში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, საქართველოს ხელისუფლებაში აფხაზეთის სერიოზული წარმომადგენლობის ყოფნა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, გარდამავალ სიტუაციაში უსაფრთხოების კონკრეტული გარანტიები და ერთიანი საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის შექმნა შესთავაზა?**

— მე მახსენდება რამდენიმე წლის წინათ პრეზიდენტ სააკაშვილის პირველი გამოსვლა გაეროს ასამბლეაზე აფხაზეთის საკითხზე. მაშინ მან აფხაზეთთან დაკავშირებით პირველად ჩამოაყალიბა ე.წ. “საგზაო რუკა“, რაც ქართულ-აფხაზური დაახლოების სამ ეტაპს გულისხმობდა.

პირველი იყო ნდობის აღდგენა, მეორე — ეკონომიკური ურთიერთობების დაწყება და კრიმინალთან საბრძოლველად საერთო მექანიზმების შემუშავება. ამის შემდეგ საუბარი იყო პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობის დაწყება, რომელიც ახლა ყველაზე მწვავეა. მე იმ პერიოდში მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი აფხაზეთში და სხვადასხვა ქალაქში მქონდა შეხვედრები იქაური საზოგადოების წარმომადგენლებთან.

მინდა გითხრათ, რომ ეს იყო ერთადერთი დადებითი მუხტი, რომელიც ჩვენგან შევიდა აფხაზურ საზოგადოებაში. მე მახსენდება მათი თვალები, შეკითხვები, ზოგის უნდობლობა სააკაშვილის მიერ დასმულ საკითხებზე, ზოგის ნდობა და მოლოდინი, მაშინ ამან პოლიტიკური შედეგიც მოგვცა და იმედის ნაპერწკალიც გააჩინა.

მე არ ვიტყვი, რომ ჩვენ ბოლომდე მოგვწონდა მათ მიერ შექმნილი დოკუმენტი, „Ключ к будущему“, რომელშიც ჩვენი ურთიერთობების მომავალი ზუსტად ამ სქემაზე იყო აწყობილი. პირველი იყო ნდობის აღდგენა, ეკონომიკური ურთიერთობების დაწყება და სულ ბოლოს იყო ნახსენები, ჩვენ პოლიტიკურ სტატუსზე არ ვსაუბრობთ იმიტომ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილიაო. თავად ის, რომ მათი პროექტიც ასე დალაგდა, ნიშნავდა იმას, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტშიც ეს გააზრებულ იქნა.

მე პოლიტიკოსი არა ვარ და ვერ გეტყვით რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შემდეგ ჩვენ ასეთი პოზიტიური ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადაგვიდგამს. პრეზიდენტმა ახლა პირველად დააკონკრეტა მიმართულებები. რა თქმა უნდა, ეს კარგია. სხვა საკითხია, ეს საკმარისია თუ არა იმიტომ, რომ ამ წლების განმავლობაში არაფერი მომხდარა, სიტუაცია კი ძალიან სწრაფად იცვლება.

აფხაზეთში ვერ ჩამოყალიბდა ვერც სამოქალაქო საზოგადოება, ვერც პოლიტიკური საზოგადოება. ისინი გარკვეულწილად ზურგს უკან გრძნობენ საკმაოდ მძლავრი ქვეყნის სუნთქვას, ამიტომ მათი დამოუკიდებლობის ხარისხი პოლიტიკაში თუ სხვა საკითხებშიც, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩვენთან. ფაქტია, რომ პრეზიდენტის მიერ აფხაზური მხარისათვის წინადადებების შეთავაზება დადებითი მოვლენაა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი აფხაზურ საზოგადოებაში პოზიტიურ ნაბიჯად შეფასდება.

**— რამდენად რეალისტურია შეთავაზებული წინადადებების რეალიზაცია?**

— ჯერ მე ყურადღებას გავამახვილებდი იმაზე, რამდენად საკმარისია შეთავაზებული წინადადებები. ჩემი აზრით, ეს მოლაპარაკებების დონეზე უნდა გადაწყდეს. თუ კითხვაში, რამდენად რეალისტურია მათი რეალიზაცია, იგულისხმება თუ რამდენად შეგვიძლია ჩვენ ამის ორგანიზება, რა თქმა უნდა, შეგვიძლია.

**— რეალიზებაში მე ვგულისხმობ აფხაზური მხარის თანამშრომლობისათვის მზაობას?**

— დარწმუნებული ვარ, მათი პირადი სურვილი რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა კარგი ნაბიჯი და მყარი ფუნდამენტი იმისათვის, რომ გველაპარაკა ამ თემაზე, გვსაუბრა ურთიერთობების ახალ ეტაპზე, გვესაუბრა დათმობებზე ერთმანეთის მიმართ. მე ვერ ვიქნები კატეგორიული იმიტომ, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა ყოველთვის გრძნობს ზურგზე საკმაოდ სერიოზულად მიდებულ ხიშტს, რომლის გაუთვალისწინებლობა მათ არ შეუძლიათ.

**— პრეზიდენტის განცხადებები იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იგი მზადაა ბალაფშს შეხვდეს. რამდენად სავარაუდოა სააკაშვილი-ბალაფშის შეხვედრა? 2 წლის წინათ ამგვარი მცდელობა, სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა.**

— ეს პროგნოზის სფეროდანაა. მე ცოტა შორს ვარ პროგნოზებისაგან. მართალი გითხრათ პროგნოზებში არც მიმართლებს, მაგრამ გამომდინარე იმ სიტუაციიდან, რომ რუსეთი დაინტერესებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლით, იმის გათვალისწინებით, რომ სოჭში ოლიმპიადის ჩატარება რუსეთისთვის პრიორიტეტული საქმეა, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთმა უკვე ჩაიდინა საქციელი, რომელიც არც თუ ისე მისაღებია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, მხედველობაში მაქვს ცალმხრივი ემბარგოს მოხსნა. არაფერი ცუდი არ მოხდებოდა საქართველოსთან რომ შეეთანხმებინათ. დარწმუნებული ვარ, საქართველო მაგაზე დათანხმდებოდა კიდეც, მე მგონია, რომ შანსი იმისა, რომ სააკაშვილი შეხვდეს ბალაფშს, ახლა უფრო მეტია.

მე მგონია, რომ თუ ასეთი შეხვედრისკენ ნაბიჯები გადაიდგმება, პრინციპში სააკაშვილს არ უარუყვია კოკოითთან შეხვედრის შესაძლებლობა, სააკაშვილი-ბალაფშის შეხვედრა შესაძლებელი ნატოს სამიტის შემდეგ იქნება.

**— ხომ არ იქნება აღქმული აფხაზურ საზოგადოებაში სააკაშვილის წინადადებები, როგორც ნატოს სამიტის წინ გაკეთებული შეთავაზებები, ან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მიღებულ გადაწყვეტილებებზე საქართველოს რეაქცია?**

— ეს შეთავაზებები ნაკლებად უკავშირდება ნატოს თემას. ჩემი აზრით, ეს უფრო კოსოვოს და აფხაზეთის მიმართ რუსეთის სათათბიროს დამოკიდებულების გამოხატვას უკავშირდება.

**— ამ წინადადებების შემდეგ უნდა ველოდოთ თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის დიალოგის განახლებას და ამ წინადადებების განხილვას?**

— ეს არის პირველი კონკრეტული შეთავაზებები აფხაზური მხარისთვის, ანუ რეალიზაცია ისევ სააკაშვილის მიერ დაწყებული პროცესისა, რომელიც მან გაერო-ს ასამბლეაზე გამოსვლის დროს გააკეთა.

**— აფხაზური საზოგადოების რა ნაწილისთვის იქნება პრეზიდენტ სააკაშვილის წინადადებები მისაღები?**

— სააკაშვილის წინადადებები მისაღებია საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც სერიოზულად უყურებს თავისი კუთხის მომავალს, თავისი ხალხის ეთნოკულტურულ მომავალს, იმ პრობლემებს და გადასადგმელ ნაბიჯებს თავისი ქვეყნის, თავისი მხარის პატრიოტებისთვის.

პროცენტულად არ ვიცი რამდენია ან სად არიან. შესაძლოა, აფხაზეთში არ არიან და ამჟამად რუსეთში, ან ევროპაში, ან ამერიკაში მოღვაწეობენ, მაგრამ მთავარია, რომ სააკაშვილის წინადადებები აფხაზეთის ჭეშმარიტი გულშემატკივრებისთვის მისაღებია.

**კობა ბენდელიანი**

**◎ ინფორმაცია**

### კახი კალაძე ბიზნესს იწყებს

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და „მილანის“ ქართველი ლეგიონერი კახი კალაძე ერთობლივი ბიზნეს-პროექტის „კალა კაპიტალის“ განხორციელებას იწყებენ.**

ბიზნეს-ჯგუფი საქართველოში უცხოური და ქართული კაპიტალით დაფინანსდება და ინვესტიციებს სამ სფეროში ენერგეტიკაში, დეველოპმენტში და საბანკო პროექტებში ჩადებს.



ახალი ბანკის „პროგრეს ბანკის“ გახსნას „კალა კაპიტალი“ სექტემბრისთვის გეგმავს. ბანკი უნივერსალური ტიპის იქნება და კლიენტებს სრულ, მაღალხარისხიან საბანკო მომსახურებას შესთავაზებს.

ჰიდროენერგეტიკაში „კალა კაპიტალი“ მუშაობას რამდენიმე მიმართულებით აპირებს. ესენია: ჰესების მშენებლობა, ნავთობმომპოვებითი საქმიანობა და ალტერნატიული ენერგიის წყაროების ათვისება.

„კალა კაპიტალის“ ყველაზე მასშტაბური პროექტია „არსენალი“, რომელიც 10 წელიწადში სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს, 80 ჰექტარზე მინი ქალაქის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის განხორციელებისთვის „კალა კაპიტალი“ 1,5 ამერიკულ დოლარის ინვესტიციას მოიზიდავს. სამშენებლო კომპლექსი მოიცავს სამთავრობო და საცხოვრებელ კომპლექსებს, საკონფერენციო ცენტრებს, ვილებს, „ა“ კლასის ოფისებს და კომერციულ ფართებს, ასევე სკოლებს, საავადმყოფოებს, 5-ვარსკვლავიან სასტუმროებსა და გასართობი ტიპის დაწესებულებებს. წინასწარი პროგნოზით, პროექტი „არსენალი“ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთპროცენტიან ზრდას და 25 ათასამდე სამუშაო ადგილის შექმნას განაპირობებს.

აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით „კალა კაპიტალი“ 3 აპრილს პრეზენტაციას იტალიაში მოაწყობს.

### სკანერი საბაჟო-გამტარ პუნქტზე

**საქართველოს დიდ საბაჟო-გამტარ პუნქტებზე უახლოეს მომავალში სპეციალური აპარატურა — სკანერი დამონტაჟდება.**

როგორც ფინანსთა მინისტრი ნიკა გილაური აღნიშნავს, სკანერი მინიმუმამდე ამცირებს საბაჟოზე კონტრაბანდული საქონლის შემოტანას. მისი საშუალებით, შესაძლებელია საბაჟოზე შემოტანილ კონტეინერში მოთავსებული ყველა ტვირთის დეტალური შემოწმება. სკანერი კონტეინერში მოთავსებულ ნებისმიერ უცხო დეტალს აფიქსირებს.

მსგავსი სახის აპარატურა უკვე ფოთის საბაჟოზე მუშაობს. როგორც ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, მისი საშუალებით ფოთში კონტრაბანდული საქონლის შემოტანა რამდენჯერმე თავიდან იქნა აცილებული.

ფინანსთა სამინისტრო უახლოეს მომავალში კიდევ 4-5 ცალ სკანერს იყიდის და სარფის, წითელი ხიდის და სხვა დიდ საბაჟოებზე დაამონტაჟებს. აღსანიშნავია ის დეტალიც, რომ სკანერი შემოწმების შედეგებს სამი წლის განმავლობაში ინახავს.

### რუსთავს ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყდა

**რუსთავის მოსახლეობის დიდ ნაწილს ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყდა.**

ამის მიზეზი კლდიაშვილის ქუჩაზე გამავალ ცენტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარია გახდა. ცენტრალური გაზსადენი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ნასვამმა მძღოლმა დააზიანა, რომელიც გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და კლდიაშვილის სკვერში გამავალ გაზსადენსა და ხეს შეეჯახა.

როგორც რუსთავგაზში აცხადებენ, აღდგენითი სამუშაოები დაზიანებულ გაზსადენზე უკვე დაიწყო და მოსახლეობას გაზმომარაგება დღეიდან აღუდგება.

ინტერპრესნიუსი

№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

# ვაი სიღარიბისგან •

**მომხმარებლისთვის ცნობილია, რომ ჰესების მიერ წარმოებული 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება 3-4 თეთრია, მოსახლეობა კი მასში 5-ჯერ მეტს იხდის. სად მიდის ეს ზედმეტად გადახდილი თანხები? – რა თქმა უნდა, გამანაწილებელი კომპანიების („თელასი", „ენერგოპრო" და სხვაძ ჯიბეში**



## ◉ ენერგომომარაგება

***პრეზიდენტს** უყვარს ეს გამოთქმა (ნურას უკაცრავად!) და მეც იმიტომ დავეხარბე — ვინძლო ვასიამოვნო. არადა ზოგი იმისთანა სულსწრაფია, ყურს მოკრავს თუ არა, დენი იმდენი გვაქვს, საზღვარგარეთ გასაყიდადაც გაგვაქვსო, მაშინვე ტარიფს მივარდება — არა მცირდებაო? იმ ორმოცდაათდღიანი პროგრამისა არ იყოს, მთავრობამ სიღარიბის დასაძლევად რომ შეიმუშავა. ამ საქმეშიც ვერ გამოვიჩინეთ მთლად კეთილგონიერება და სერიოზულობა. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც კიდევ ერთ ტყუილში სდებენ ბრალს ხელისუფლებას. აი ნახეთ, ამბობენ ისინი, 50 დღე უკვე გავიდა, ჩვენ კი ისევ მშივრები და სიმდიდრეს დანატრებულები ვსხედვართო.*

მოდი და თავი გაუყადრე ასეთ ოპონენტებს, რომლებიც იმასაც ვერ მიმხვდარან, რომ მთავრობამ 50 დღეში პროგრამა შეიმუშავა, თორემ ის კი არ უთქვამს, ამავე პერიოდში შიმშილს დედას ვუტირებ და ყველას ერთბაშად სიმდიდრესა გწევთო. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ არ არის ოპოზიციონერ ლიდერთა წინასაარჩევნო შიმშილობა, რომ ყველაფერი 15 დღეში დამთავრდეს, თანაც ისე, რომ ორივე მხარე (ხელისუფლებაც და ოპოზიციაცძ კმაყოფილი და გამარჯვებული აღმოჩნდეს...

ეს პროგრამა იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველია, რომ მის რეალიზაცია-აღსრულებას, შესაძლოა, ქვეყნის პრეზიდენტის მთელი მეორე სამოღვაწეო პერიოდიც კი უკლებლივ დასჭირდეს. მით უფრო, რომ ეს იქნება არა გზებისა და შადრევნების, არამედ ეკონომიკის, ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის მშენებლობის უაღრესად მძიმე და შრომატევადი პერიოდი. თავად პრეზიდენტის განმარტებას თუ მოვიშველიებთ, მისი საქმიანობის პირველი ვადა მოხმარდა ქვეყანაში სახელმწიფოსა და დემოკრატიის მშენებლობას, მეორე ვადა კი მთლიანად მიეძღვნება ხალხის დასაქმებასა და გაჭირვებიდან ამოყვანას. ამით დასრულდება საქართველოს, როგორც ერთი მთლიანი შენობის, აგება-გადახურვის სასწაულებრივი პროცესი. ოღონდ, თბილისის აეროპორტის გამოცდილებიდან გამომდინარე, გადახურვის სამუშაოები, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ უნდა ვანდოთ მეზობელ თურქ ინვესტორებსა და სპეციალისტებს, თორემ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე შესაძლოა თავი კიდევ ერთხელ შევირცხვინოთ.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იმავე თურქეთთან მჭიდრო თანამშრომლობა არ გვექნება ენერგეტიკის სფეროში, რაც მყარი ეკონომიკის შექმნის დიდად მნიშვნელოვანი სეგმენტია. თურქეთი სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც ენერგეტიკული დისბალანსის პერიოდში საქართველოსთვის მეტად საჭირო პარტნიორი ხდება. ლაპარაკია ზამთარზე, როცა ჩვენში ელექტროენერგიის დეფიციტი იქმნება და ის თურქეთიდან შემოგვაქვს, აგრეთვე, ზაფხულის პერიოდზე, როცა ჭარბი ელექტროენერგია, პირიქით, თურქეთში გაგვაქვს. სამთავრობო გეგმის თანახმად, უახლოეს 4-5 წელიწადში საქართველო იქცევა ელექტროენერგიის ექსპორტიორ ქვეყნად, რაც მის ბიუჯეტს წელიწადში სულ მცირე 1 მილიარდი დოლარის შემოსავალს მისცემს. ჰოდა ბაზარიც გვერდზევე გვექნება — მეზობელი თურქეთი.

მაინც რის იმედით აპირებს მთავრობა ბიუჯეტის ამხელა შემოსავლით გამდიდრებას? მარტო ენგურჰესი, ბუნებრივია, ქვეყანაში ამინდს ვერ შექმნის, ხუდონჰესის მშენებლობა, კი, რომლის დამთავრების შემდეგ საქართველოს ელექტროენერგიის პრობლემა მოეხსნება, საჭირო ინვესტიციების უქონლობის გამო შეჩერებულია. ასეთ შემთხვევაში ენერგეტიკის სამინისტროს უფრო შედარებით მცირე ჰესებისა ეიმედება, რომელთა რიცხვმა სამომავლოდ შეიძლება 80-ს გადააჭარბოს, თუკი მათი მშენებლობით უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები დაინტერესდებიან. ანგარიშიც არ ეშლებათ, იმ შემთხვევაში თუკი ასეთი ჰესები აშენდება, საქართველოდან თურქეთში საექსპორტოდ 850 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გავა.

აგაშენა ღმერთმა, ამდენი ჰესი თუ აშენდა და წინასწარ ნავარაუდევი ენერგია უცხოურ ბაზარზე გაიყიდა, სიღარიბე საქართველოში ოდნავ მაინც ხომ შეთხელდება? მით უფრო, რომ თავად თურქები აღმოჩნდნენ ამ საქმეში ყველაზე აქტიურები. ისინი პირობას იძლევიან, რომ უახლოეს 7-8 წელიწადში საქართველოში ამავე რაოდენობის მცირე ჰესს ააშენებენ, წარმოებული ელექტროენერგიის 40 პროცენტს ზამთრობით ადგილზე დატოვებენ, ხოლო დანარჩენს საექსპორტოდ გაიტანენ.

მცირე ჰესებით „მოჩარდახდება" მთელი საქართველო. ისინი აშენდება სამეგრელოში, იმერეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, გურიაში, ჯავახეთში, და სად აღარ. ამასთან, ელექტროენერგიის გასატანად, თურქეთის საზღვრამდე მივა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, რომელიც რუსეთსა და აზერბაიჯანთან დამაკავშირებელ ხაზებს მიუერთდება და ერთიანი ელექტროწრედი შეიქმნება. ელექტროხაზების დაზიანების შემთხვევაში, რაც არც თუ იშვიათია, ენერგიის მიწოდება ამ სარეზერვო ხაზით მოხდება, რაც ბუნებრივია განამტკიცებს მთელი ელექტროსისტემის სიმყარეს.

ერთი სიტყვით, პროგრამა ისეთია, რომელიც ქვეყანასაც გაანათებს და გულსაც. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხასიათი წაგიხდინოს, ის არის, რომ იმ ადგილებში, სადაც ჰესები უნდა აშენდეს, ჯერჯერობით არც ინვესტორები გამოჩენილან და არც მშენებლები. კიდეც რომ ავაშენოთ, კახა ბენდუქიძის გარეშე იქნება კი დენის ყიდვა-გაყიდვის ბაზარი ჩვენთვის სარფიანი?

ელექტროენერგიის რიგით მომხმარებელს, ეს პრობლემები სულაც არ აწუხებს და, როგორც ვთქვი, მარტო იქითკენ არის ყურდაცქვეტილი, ამდენი ჰესების აშენებისა და დენის ბაზარზე გატანის შემდეგ მოაკლდება რამე თუ არა ამ ფულიხვეტია ენერგოტარიფს? არაო, ჩემო ბატონო, ტყუილად ირჯებით, ტარიფს კაპიკიც არ მოაკლდებაო — გვამშვიდებენ „ენერგეტიკის მამები".

არადა სადავო ნამდვილად არის. მომხმარებლისთვის ცნობილია, რომ ჰესების მიერ წარმოებული 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება 3-4 თეთრია, მოსახლეობა კი მასში 5-ჯერ მეტს იხდის. სად მიდის ეს ზედმეტად გადახდილი თანხები? — რა თქმა უნდა, გამანაწილებელი კომპანიების („თელასი", „ენერგოპრო" და სხვაძ ჯიბეში. ფაქტობრივად ესენი მდიდრდებიან, მთავრობა კი აქცენტს მოსახლეობის სიღარიბის დაძლევაზე აკეთებს.

სულ ტყუილად. გამოდის, რომ მთავრობა ამჯერადაც იტყუება, რასაც ენერგეტიკის სამინისტროში ახსნასაც კი უძებნიან. მათი განმარტებით, დენის ტარიფი საქართველოში კიდევ დიდხანს არ გაიაფდება (უფრო გაძვირდება, ვიდრე გაიაფდებაძ, რადგან ახლად აშენებულ ჰესს, ვიდრე იქიდან დახარჯულ თანხებს ამოიღებდეს, კაი 7-9 წელიწადი მაინც დასჭირდება. მხოლოდ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ტარიფის შემცირებაზე.

ჰოდა ვილაპარაკოთ, ოღონდ ეს საუბარი, როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილის მეორე კი არა, უკვე მესამე საპრეზიდენტო ვადაში მოგვიწევს!



## დენს გავყიდით, დენს ვიყიდით

### ტარიფის შემცირდება? – ნურას უკაცრავად!

**ოთარ ხუციშვილი**

## ◉ გვწერენ

# ერთი „მოგზაურობის" ქრონიკა

**თავში ათასი აზრი მერევა, ყველას ერთბაშად ვერ გადმოვაფრქვევ; ამიტომ ვცდილობ ყურადღება გავამახვილო იმაზე, რაც ამ დღეებში მწარედ განვიცადე.**

წიაღსვლებით წერა არ მიყვარს, სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას, თანაც ყველაფერზე ერთბაშად წაპოტინებაც არ ივარგებს, რადგან თითოეული ჩვენგანი უამრავი პრობლემით ვართ დახუნძლული.

უბედურება ისაა, რომ რაც „მე მაწუხებს, ათასობით ჩემისთანასაც აღიზიანებს, მაგრამ „ზემოთ" ჩვენი გასაჭირი არავის არ აინტერესებს, არც გაახმიანებენ, გულის მოსაფხანად ხალხის ყურამდე რომ მიიტანო.

...მაგრამ ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ სათქმელს.

ორ თვეზე მეტია, რაც მიტოვებული სახლისთვის სოფელში არ ჩამიკითხავს და გადავწყვიტე გამერისკა. მაღვიძარა დილის ხუთი საათისთვის დავაყენე და დასაძინებლად მოვემზადე, მაგრამ ტელევიზორში ისეთ სექსუალურ ფილმს უჩვენებდნენ, რომ დაჩაჩანაკებულმა ბერიკაცმა საწოლისკენ გზა ვერ გავიკვლიე. რატომ, რატომ რყვნიან ახალგაზრდებს? ეკრანი გვიან, ღამის სამ საათზე გამოვრთე.

დიახ, ბატონო, ვიცი, რომ ადამიანს ყველაზე მეტად სიცოცხლე უყვარს. მეორე დიდი სიყვარული კი, ღმერთის მიერ კოდირებული, სექსი გახლავთ, მაგრამ ასე დაუფარავად მისი ჩვენება დაუშვებლად მიმაჩნია.

ზარის წკრიალზე თავი ძლივს წამოვწიე. ფაცხა-ფუცხით ჩავიცვი და რკინიგზის ვაგზლისკენ დამძიმებული გავეშურე, ვიმედოვნებდი „თბილისი-ბორჯომის" მატარებელს მივუსწრებდი, თანაც ვიცოდი, ახალი კომფორტულ-ვაგონებიანი შემადგენლობა დილით თბილისიდან გადიოდა, საღამოს კი უკან ბრუნდებოდა. აუარება ხალხი ბაქანზე სიცივისგან ითოშებოდა. მატარებლის გასვლას სამი წუთი აკლდა, ჩამოდგომა რომ გვაღირსა. ჯგლეთაში მოვყევი, ხალხის ტალღამ უნებურად შიგნით შემაგდო და სასწაულად ადგილიც დავიმკვიდრე, თუ არადა, ვინ დამითმობდა? გაჭირვებამ კაცის გაველურებაც იცის.

მატარებელი როგორც იქნა, დაიძრა. მივიხედ-მოვიხედე, საჯდომებგაძარცვული ვაგონის დაუდევრად მინებჩასმული ფანჯრების ამოუგაზავი ღრეჩოებიდან ყინულივით ცივი ქარი შემოლმუოდა. გათბობა მხოლოდ პირველ ვაგონშიაო, მითხრეს, თანაც თბილ ჰაერს დროდადრო აწვდიან, ასე, რომ გული ნუ დაგწყდება, იქ რომ ვერ მოხვდიო.

გარემოებამ შეგუება იცის. აბა, რას იზამ, ქვა აღმართს ხნავსო, — ნათქვამია. აშმორებული განავლის სუნი იგრძნობოდა, მოკლედ, მსგავს სათავსოში ღორებსაც არ აკადრებდნენ შეყრას.

სადამდე დავეშვით!

ხმა არ ამოიღოო, გამაფრთხილეს; თუმცა იყვირე, ხმას მაინც ვერავის მიაწვდი, არსაიდან ხმა, არსით ძახილი გამოგივაო.

ხაშურამდე ჩასვლას ოთხ საათზე მეტი მოვუნდეთ. სადგურებში დიდხანს აყოვნებდნენ. რამდენჯერმე წამოწეულ ბოზოლათა ჩქარი მატარებლის გადასწრებას ველოდებით. ლოდინით თავმობეზრებულნი საფენაყრილ ბაქანზე ჩავდიოდით და გულის გასაქარვებლად ვჭორაობდით.

ჩვენს გვერდით მატარებლის მემანქანეებიც ჩამოდიოდნენ. დრო ვიხელთე და შევეკითხე, ნუთუ არ რცხვენიათ, ასეთ შემადგენლობას რომ დაახრიგინებენ-მეთქი. გაეცინა, როგორ არაო. ერთხელ ბორჯომში, მიშა რომ სტუმრობდა, სადგურში მდგარ ამ ჯართს გადაეყარა. ლამის გაცოფდა. ჩვენ კი გვიბრძანეს, დაიმალეთო. დასამალი მათ რა ჰქონდათ? ვისაც მოეკითხება, ისინი არხეინად დათარეშობენ, ხალხის ჭირი ღობის ჩხირადაც არ მიაჩნიათ.

მაშინ მიშამ ბრძანა და „თბილისი-ბორჯომის" ხაზზე ერთი ახალი შემადგენლობა გამოყვეს, მაგრამ რა, ერთ წელიწადსაც ვერ გაძლო, მცხეთასთან ცეცხლი წაკიდებია და დამწვარა. ზოგი სხვას ამბობს — ხაზიდან მოხსნეს და სხვაგან გადაიყვანესო. რატომ? რა დააშავა თბილისმა ანდა ბორჯომმა?

ხალხში ბოლმის ნთხევა დაუშვებელია.

იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, მაგრამ როდის?

„არ შეიტანო სისაძაგლე შენს სახლში, რომ შენც მასავით დარისხული არ გახდე", — გვმოძღვრავს ბიბლია"...

**კარლო ხარატიშვილი.**

**ის ფული, რომელსაც ზოგს საჩუქრად, ზოგს კი სესხად გვაძლევენ, ისევე წინდახედულად და ყაირათიანად უნდა დაიხარჯოს, როგორც ეს ფოთში ხდება, სადაც როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე ადგილობრივი თვითმმართველობა მონიტორინგს მიზანმიმართულად ანხორციელებენ**

◎ ინფორმაცია

## გაეცით გლეხებისათვის კომპენსაცია

**საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მთავრობას, მონტგომერის დაავადების გავრცელების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის კომპენსაციის გაცემას სთხოვს.**

**როგორც ომბუდსმენის რეკომენდაციაშია ნათქვამი, 2007 წლის ზაფხულში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მითითებით, იმ დროისათვის გავრცელებული ღორის აფრიკული ცხელების ლიკვიდირების მიზნით, მოსახლეობას ასეულობით სული ღორი გაუნადგურეს. შედეგად, დაირღვა „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესაკუთრეების უფლებების დარღვევა, მიეღოთ შესაბამისი კომპენსაცია წინასწარ, საკუთრების ჩამორთმევამდე.**

**იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა სახალხო დამცველის რეკომენდაციას არ გაითვალისწინებს, დაზარალებული გლეხები და ფერმერები მთავრობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას და პერმანენტულ საპროტესტო აქციებს გეგმავენ.**

## რამდენი აირი იქნება ტრანსპორტირებული თურქეთში?

**სამხრეთკავკასიური გაზსადენით (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) გასული წლის ივლისიდან მიმდინარე წლის თებერვლის ჩათვლით თურქეთში დაახლოებით 1,213 მლრდ კბ.მ გაზი იქნა ტრანსპორტირებული.**

**აზერბაიჯანული გაზის თურქეთში ტრანზიტის მოცულობის მაჩვენებლები საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ გამოაქვეყნა.**

**ყველაზე მეტი გაზი, გაზსადენით ექსპლუატაციაში გაშვებიდან, თურქეთში მიმდინარე წლის იანვარში იქნა გადაგზავნილი.**

**ბაქო-თბილისი-ერზერუმით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება თურქეთში 2007 წლის ივლისში დაიწყო. ივლისში 13 მლნ კბ.მ გატარების შემდეგ, ტრანზიტის მოცულობა ეტაპობრივად აგვისტოს თვიდან იზრდებოდა.**

**აგვისტოში თურქეთს დაახლოებით 222 მლნ. კბ.მ გაზი მიეწოდა, სექტემბერში – 230 მლნ. კბ.მ, ოქტომბერში – 251 მლნ. კბ.მ, ნოემბერში – 243 მლნ. კბ.მ, დეკემბერში – 252 მლნ. კბ.მ.**

**მიმდინარე წლის იანვარში თურქეთში საქართველოს გავლით დაახლოებით 386 მლნ კბ.მ იქნა გადაგზავნილი, თებერვალში – 340 მლ. კბ.მ.**

ინტერპრესნიუსი

◎ პრობლემა

# თუ ვერ დაფრინდები, აფრინდები?



**ეს კითხვა შემთხვევით არ დასმულა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ იმ შეხვედრაზე, რომელიც ქალაქის კომუნალური მეურნეობის სხვა მტკივნეულ საკითხებთან ერთად ქუთაისის წყალმომარაგების პრობლემებსაც განიხილავდა.**

იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“ ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით ასრულებს პროექტს – „სამოქალაქო საზოგადოება და ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლება“. გთხოვთ, დაესწროთ ამ პროექტის წარდგენას. იგი გაიმართება „პრესის სახლში“, რომელიც ქუთაისში რუსთაველის გამზირის 37-ში მდებარეობს. – იუწყებოდა მოსაწვევი. მასში დაბეჭდილი იყო პრეზენტაციის პროგრამაც. იგი ითვალისწინებდა თხრობას პროექტის წინაპირობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე, რის შესახებაც „ასას“ თავკაცი ზაზა ხელაძე ისაუბრებდა; მონიტორინგის მნიშვნელობაზე, რასაც ცნობილი ჰიდროლოგი, პროფესორი ოთარ შაუთიძე გააშუქებდა და სხვა საკითხებს, მათ შორის მასმედიის როლს პროექტის განხორციელებაში. ამის შესახებ აზრის გამოთქმას მე მთხოვდნენ.

გულახდილად ვიტყვი, ყოველთვის ინტერესით ვადევნებ თვალს როგორც ამ ასოციაციის, ისე ახალშექმნილი მისი შვილეული ორგანიზაციის „ასა+“-ის საქმიანობას და იმ გამოხმაურებას, რომელიც მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში არც თუ იშვიათად ქვეყნდება. ჩემი კოლეგების ამ ინტერესს განაპირობებს, ერთის მხრივ, პროექტის სამოქმედო არეალი – სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება ქუთაისის ადგილობრივ ხელისუფლებასთან და, მეორეს მხრივ, ის რეალური შედეგები, რომელსაც ასოციაცია კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლასა და გაანალიზებაში აღწევს. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ელექტროენერგეტიკაში კაბალური ჯგუფური ხელშეკრულებების გაფორმების, უაზრო ქსელების მოწყობის, ინდივიდუალური მოხმარების ელექტროენერგიაზე სამეზობლო პასუხისმგებლობის დაწესების მავნეობაზე, სადისტრიბუციო ქსელის უპატრონობასა და ელექტროენერგიის რეალური საფასურის ზევით საკმაოდ მოზრდილი თანხის დამატებით გადახდის დანაშაულებრივი ხასიათის მხილებაში. ამ საკითხებთან დაკავშირებით ასოციაციამ სამართლებრივი დახმარებაც ბევრს გაუწია და მაქსიმალურად გამოიყენა ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობა, როგორებიცაა „სამართლიანი არჩევნები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციები და სხვა ორგანიზაციები, მათ შორის თავისუფალი მასმედია. ხშირია მათთან შეხვედრები საზოგადოებასთან, ანკეტური გამოკითხვები და კონსულტაციები მოქალაქეებისათვის როგორც ინდივიდუალური მიღებების დროს, ისე ცხელი ხაზის შემწეობით.

არადა საქართველოს უძველეს ქალაქს, რომელიც წლების მანძილზე ყველასგან მიტოვებული და მივიწყებული იყო, ძალზე ბევრი პრობლემა აწუხებს. ავიღოთ თუნდაც გაზმომარაგება, რომლის ფასი ერთი წლის წინათ თითქმის გაორმაგდა – კუბური მეტრი 0,378 ლარის ნაცვლად 0,5074 ლარი ღირს. ესეც არ იკმარეს. ეგრეთ წოდებული მაკორექტირებელი კოეფიციენტით (?) ყოველთვიურად რამდენიმე კუბური მეტრის ფასს უმატებენ, ეს კი უმძიმეს ტვირთად აწევს ისედაც უმუშევრობითა და სიღატაკით სასომიხდილ მოსახლეობას.

ფაქტობრივად ანალოგიური მდგომარეობა იყო ელექტროენერგიის გადასახადთან დაკავშირებითაც. ეს მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე „ასამ“ როგორც პირადი წერილებით, ისე ბეჭდური და ელექტრომედიის დახმარებით ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატს ნინო ბურჯანაძეს მრავალგზის არ შეახსენა, რომ წლობით გაჭიანურდა ინდივიდუალური გამრიცხველიანების შესახებ ელექტრომამების მიერ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისადმი მიცემული პირობა.

ამ ბოლო დროს მდგომარეობა შეიცვალა. ინდივიდუალური გამრიცხველიანება თითქმის დამთავრდა, თუმცა აქვე ისიც ხაზგასმით არის სათქმელი, რომ მთელ ქალაქში მასობრივად შეიმჩნევა ძალადობრივი გზით მრიცხველების დაზიანება. ეს კი არცთუ უსაფუძვლოდ ბადებს ეჭვს, რომ არაფერი შემთხვევით არ ხდება, რადგან „ინდივიდუალურების“ ამგვარი დაზიანების გამო კომუნალური მრიცხველების ისევ აღდგენა ხელს იმათ აძლევს, რომლებიც აბონემენტების ძარცვის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ამის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ მათ უვარგისად ერთხელ უკვე გამოაცხადეს ადრე მათ მიერვე დადგმული მრიცხველები და კოლექტიური მრიცხველების შემოღებით დიდი ხნით გაამეფეს სრული ქაოსი და განუკითხაობა.

ეგრეთ წოდებული კომუნალური მრიცხველების შესახებ შემთხვევით არ წამოგვიწყია საუბარი.

მილენიუმის – ათასწლეულის გამოწვევის პროგრამით ქუთაისში წყალმომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად 4 მილიონ 700 ათასი ევროა გამოყოფილი.

შვედეთის საერთაშორისო დახმარების დეპარტამენტმა ამავე მიზნით სესხად 2 მილიონ 286 ათასი ევრო შეგვაწია, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა – 2 მილიონ 969 ათასი ევრო. ამას ემატება ერთი მილიონ 904 ათასი ევრო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ასე რომ, წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის ქუთაისს 12 მილიონ 880 ათასი ევრო მოხმარდება. ნიშნავს ეს იმას, რომ ამ სამადლო დახმარებით მდგომარეობა არსებითად შეიცვლება იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას წყალი ორ დღეში ერთხელ, თანაც მხოლოდ ორი საათით მიეწოდება?

სამწუხაროდ, არა!

„ქუთაისისთვის, სადაც ამორტიზებული ქსელი დანაკარგებს 40-47 პროცენტამდე ზრდის, ხოლო სასმელის მოსაპოვებლად დახარჯული ელექტროენერგია ფოთთან შედარებით თითქმის 60-ჯერ მეტია, ეს კატასტროფული მდგომარეობა, ალბათ, 2009 წელსაც ვერ გასწორდება“. – ვწერდით „საქართველოს რესპუბლიკაში“ შარშან, 11 დეკემბერს დასტამბულ წერილში.

ეს დასკვნა კიდევ უფრო თვალნათლივი გახდა იმ პროექტის გაცნობისას, რომელიც „ასამ“ ქუთაისის „პრესის სახლში“ წარადგინა. გაირკვა, რომ უკეთილშობილესი საქმის განსახორციელებლად ქალაქის წყალმომარაგებისათვის გამოყოფილი 12,98 მილიონი ევროდან საკმაოდ სოლიდური ნაწილი მოხმარდება არც თუ მთლად სახარბიელო საქმეს – კოლექტიური მრიცხველების დაყენებას. სწორედ იმას, რამაც არაჯანსაღი, კორუფციის აშკარად ხელშემწყობი გარემოს შექმნის გამო ენერგეტიკაში ვერ გაამართლა. აუცილებლად სათქმელია ისიც, რომ ქუთაისს ამჟამად ქალაქიდან 20 კილომეტრის მოშორებით გატანილი ის მიწისქვეშა საბადო ამარაგებს, რომელიც ხვამლიდან წამოსული წყლით ივსება.

ეს წყალი უკან ამოგვაქვს ტუმბოებით, მილსადენებით, დამხმარე სამუშაოებითა და, რაც ყველაზე არსებითია, ძალზე დიდი რაოდენობის ძვირადღირებული ელექტროენერგიის ხარჯვით. არადა, თუ ფოთელების მსგავსად წყალს თვითდინებით მივიღებდით, დენი არათუ დაგვეხარჯებოდა, არამედ მრავალი მეგავატის გამომუშავების საშუალებაც მოგვეცემოდა. ამით მკვეთრად შემცირდებოდა წყლის თვითღირებულება, რასაც მოსახლეობის კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მით უფრო მაშინ, თუ ქუთაისის წყალსადენი „თბილწყალივით“ გაიყიდება.

ამ პრობლემაზე ყურადღებას განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებთ, რომ ახალი პროექტის წარდგენისას ძალზე მენიშნა წყალმომარაგების პრობლემებთან დაკავშირებით „ასასთან“ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელების, პროფესორების ოთარ შაუთიძისა და ჯონი ნოსელიძის შეკითხვა: „ასაფრენ ბილიკზე გასული საჰაერო ხომალდის ეკიპაჟი გაბედავს თუ არა აფრენას, თუ დარწმუნებული არ არის, რომ დაფრენა გარანტირებული აქვს?“

მე, როგორც ჟურნალისტს, უფლება არ მქონდა მთელი ქვეყნის, მათ შორის ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის გასაგონადაც არ გამემეორებინა ეს სიტყვები, რადგან მიმაჩნია, რომ ის ფული, რომელსაც ზოგს საჩუქრად, ზოგს კი სესხად გვაძლევენ, ისევე წინდახედულად და ყაირათიანად უნდა დაიხარჯოს, როგორც ეს ფოთში ხდება, სადაც როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე ადგილობრივი თვითმმართველობა მონიტორინგს მიზანმიმართულად ანხორციელებენ.

**ალექსანდრე შენგელია,**
„სრ“ საკ. კორ.



**სურათებზე:** აი, რა ქაოსს ებრძოდა „ასა“, როცა კოლექტიური მრიცხველების მავნეობაზე ამახვილებდა ყურადღებას (ზევით); „ასას“ ახალ პროექტზე მსჯელობენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ცნობილი სპეციალისტები და „არასამთავრობოები“.

ლაშა ჭელიძის ფოტოები.

№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

● ნატოში გაწევრება ჩემი ოცნება არ არის. ჩემი ოცნება აყვავებული და ერთიანი საქართველოა. სხვა დანარჩენი მხოლოდ ამ ოცნების მიღწევის გზებია. ნატო მისი განხორციელების ერთ-ერთი ეტაპია



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*ამ დღეებში დაიწყება ნატოს სამიტი ბუქარესტში, რომელზეც ალიანსი საქართველოსა და უკრაინის ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის საკითხს განიხილავს. რუმინეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა „კომერსანტის“ კორესპონდენტს ვლადიმერ სოლოვიოვს და უთხრა, ვლადიმერ პუტინი შემპირდა აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს არასოდეს ვაღიარებო.*

# მიხეილ სააკაშვილი: დიმიტრი მედვედევთან დაკავშირებით რუსეთსაც გაუმართლა და მეც

**— მართლა ფიქრობთ, რომ საქართველო ბუქარესტში ნატოში წევრობისთვის მოქმედების გეგმას მიიღებს?**

— ყველა არგუმენტი ამას მოწმობს. ნატო რაღაც შენილბული ორგანიზაცია კი არა, დემოკრატიული კლუბია და ალიანსში საქართველოს წევრობის წინაალმდეგ, მათ შორის მისთვის წევრობისათვის მოქმედების გეგმის მიცემის წინაალმდეგ პრაგმატული არგუმენტები არ არსებობს. ჩვენ, გარდა იმისა, რომ მხარს გვიჭერენ მთელი რიგი ქვეყნები, ამას დიდი ენთუზიაზმით გამოხატავენ და ეს მარტო შეერთებულ შტატებს როდი ეხება. ასე რომ, დინამიკა მეტად მკაფიოა. ვფიქრობ, ენთუზიაზმი საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვებს და ამას მეტად ოპტიმისტურად ვუყურებ.

**— მაგრამ თქვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ ნატოს ისეთი ძველი წევრები, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია და ნიდერლანდი.**

— ამ ქვეყნებში ორმაგი ფაქტორი მუშაობს. ჯერ ერთი, ისინი დაიღალნენ გაფართოებისგან. მეორეც, ამ ქვეყნების ხალხები მეტად კონსერვატიულები არიან და სიახლეს დიდი აღტაცებით არ ხვდებიან. ჰოლანდიელი ცოლი მყავს და ვიცი როგორი უნდობლობით ეკიდება მისი ოჯახი ყოველგვარ სიახლეს. ეს ნორმალური ინსტინქტია, მათ სხვაგვარად ცხოვრება არ შეუძლიათ. მაგრამ ამ ადამიანებს, მათ შორის ამ ქვეყნების მთავრობებს სინდისი აქვთ. ეს დანამდვილებით ვიცი. ახლა პრინციპული საკითხი წყდება, ხოლო როცა საქმე პრინციპებს ეხება, არა მგონია, რომ სხვა დანარჩენმა მოსაზრებებმა ძლიოს.

**— დავუშვათ, თქვენი ოცნება ასრულდა და საქართველომ მიიღო ნატოში გაწევრებისთვის მოქმედების გეგმა. მერე რა მოხდება? დსთ-დან გამოხვალთ?**

— ნატოში გაწევრება ჩემი ოცნება არ არის. ჩემი ოცნება აყვავებული და ერთიანი საქართველოა. სხვა დანარჩენი მხოლოდ ამ ოცნების მიღწევის გზებია. ნატო მისი განხორციელების ერთ-ერთი ეტაპია. რაც შეეხება სხვა დანარჩენს, ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირში არ არის. თანამეგობრობიდან გამოსვლა ეს უფრო ზოგადი დისკუსიაა. რუსეთმა, რომელმაც სანქციების რეჟიმი დაარღვია, პრაქტიკულად მოკლა თანამეგობრობა. ეს უბრალოდ ცალმხრივი ნაბიჯი როდია. რუსეთმა ამით გვაგრძნობინა, რომ თანამეგობრობა აღარაფერს ნიშნავს და ამ ორგანიზაციის წევრობა საერთოდ არავითარ პრივილეგიას არ იძლევა. ეს გაიგეს არა მხოლოდ თბილისში, არამედ ტაშკენტშიც, ასტანაშიც, კიევშიც, მინსკშიც და სხვაგანაც. თუმცა თანამეგობრობის წევრები ამას ისედაც ეჭვობდნენ, რადგან უკვე დიდი ხანია რუსეთიდან გაზს და სხვა ნედლეულს უფრო მეტი ტარიფით იღებენ, ვიდრე ევროკავშირის და ნატოს ზოგიერთი ქვეყანა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თვალს ვადევნებ თანამეგობრობაში რუსეთის გავლენის მკვეთრ შესუსტებას და ეს მეტად პრაგმატული ფაქტორებითაა განპირობებული. იქნებ რუსეთის ახალი პრეზიდენტის პირობებში რუსეთის უფრო გამოკვეთილი სტრატეგია ვიხილოთ. ძალიან გაგვიხარდება თუ ასე მოხდება და კიდევ უფრო მეტად გაგვიხარდება გავხდეთ რუსეთის პოზიტიური გავლენის ნაწილი ახლო საზღვარგარეთში, რომელიც საკმაოდ შორი გახდა და ნამდვილად არა ჩვენი მიზეზით.

**— თუ თანამეგობრობა მოკვდა, იქნებ მისი საბოლოოდ დასამარება ჯობდეს?**

— ვფიქრობ, რომ შეხვედრების კლუბი, რასაც ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა წარმოადგენს, საკმაოდ სასარგებლო და მოსახერხებელია. იგი რომ არა, ასე ხშირად ვერ შევხვდებოდი თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერებს, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტს. თუმცა ბოლო ხანს ჩემი და პრეზიდენტ პუტინის და ჩემი და პრეზიდენტ ბუშის შეხვედრები თითქმის გათანაბრდა. იმას, თუ რატომ ხდება ეს, სწორედ რუსეთის ხელმძღვანელობა უნდა დაუფიქრდეს. ასეთი რამის წარმოდგენა რამდენიმე წლის წინათ შეუძლებელი იყო, და განა იმიტომ, რომ საქართველო ამერიკის ფილიალია, როგორც ბევრს უყვარს თქმა, მე კი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გენერალი. მე ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ, რომელსაც ძალიან უნდა რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა იქონიოს სწორედ რუსეთთან, მერე მოდის ამერიკა, ევროპა, ავსტრალია და ა.შ. მაგრამ ისეთ სიბრტყეში ვიმყოფებით, სადაც რეალურად მოგვაქციეს და გარემოებათა შესაბამისად ვმოქმედებთ. ყველაფერი, რაც არ გვკლავს, ძალას გვმატებს.

**— რით გხიბლავთ ასე ნატო? არსებობს სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მოსკოვის გაღიზიანებას არ იწვევს.**

— ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცდილება დაკავშირებულია ჩვენ ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვის გამოცდილებასთან. ორი წლის განმავლობაში რუსეთის თვითმფრინავები გვბომბავდნენ სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთაში. ამას წინათ გორი და ზემო აფხაზეთი დაბომბეს. როცა ამაზე პრეზიდენტი შევარდნაძე ჩიოდა, რუსეთის გენერალი გრაჩოვი პასუხობდა, თითქოს ჩვენ გადავლებეთ საკუთარი არარსებული თვითმფრინავები და საკუთარ ქალაქებს ვბომბავდით, დანარჩენი მსოფლიოს ყურადღება რომ მიგვეპყრო. სხვათა შორის, მოსკოვში შარშან იგივე გაიმეორეს ზემო აფხაზეთის დაბომბვის შემდეგ. გვახსოვს რა ტანჯვით იშვა ჩვენი სახელმწიფო. ისიც გვახსოვს, უხელფეხოდ ვისი მიზეზით ვიშვით. ვისთან არის ახლა ის ხელ-ფეხი, რომელიც გვაკლია. ამიტომ იძულებული ვართ სხვა ექიმებს და სხვა კლინიკებს მივმართოთ.

სინამდვილეში ჩვენ ერთადერთი დოგმა გვაქვს — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. დანარჩენი ჩვენ ინტერესებზეა დამოკიდებული. კულტურულად ჩვენ პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილი ვართ, მაგრამ ეს ყველაფერი სწრაფად იცვლება. შეიძლება საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმაც იცოდეს რუსული, აი მის შემდგომს კი უკვე აღარ ეცოდინება. რაკი რუსეთში რკინიგზა ჩაკეტილი გვაქვს, ევროპაში თურქეთის გავლით გვიწევს გზის გაყვანა. თუმცა არსებობს სოჭის გზაც, რომელიც ბევრად უფრო ახლოა. მაგრამ არ იყო მოსკოვიდან ავიარეისები, ევროპაში კი რეისები გასამმაგდა. შეუცვლელი არაფერია.

**— განა ნატოში იღებენ მოუგვარებელი კონფლიქტების მქონე ქვეყნებს?**

— ყველამ მშვენივრად იცის, რომ ეს ჩვენი კონფლიქტები კი არა, ის კონფლიქტებია, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს. და თუ მივცემთ იმის თქმის საბაბს, რომ სანამ კონფლიქტები არსებობს ნატოში არ მიგვიღებენ, ეს კონფლიქტები მუდამ იარსებებს. ნატოში მიგვიღებენ, ამ კონფლიქტებს კი მერე გადავჭრით. და გადავჭრით ნატოში შესვლის პარალელურად.

**— დავუშვათ, რომ საქართველომ არა მარტო მიიღო ნატოში გაწევრებისთვის მოქმედების გეგმა, არამედ ნატოს წევრიც გახდა. რუსეთთან ამ კონფლიქტებს ნატოს ძალებით გადაჭრით თუ როგორ?**

— სრულიად არ ვაპირებთ ამ საქმეში ნატოს ჩათრევას. ამ საკითხებს დამოუკიდებლად გადავწყვეტთ. მიგვაჩნია, რომ ნატოში გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა შევიდეთ, რადგან მსოფლიო მეტად სახიფათო ხდება და მათ შორის ჩვენი რეგიონიც. ისეთი ალიანსის წევრი უნდა ვიყოთ, სადაც არ მოგვატყუებენ, სადაც ხელშეკრულებებს დაიცავენ. 1992-1993 წლებში რუსეთთან ხუთი შეთანხმება დავდეთ, მაგრამ შემდეგ მოსკოვმა ისინი ყველა დაარღვია. ასეთი გამოცდილების გამო ვისწრაფვით იქით, სადაც შეთანხმებებს იცავენ და ერთხელ მიცემულ სიტყვას წონა აქვს. სად არსებობს პრინციპი, რომ ყველა ქვეყანა თანასწორია სიდიდის, ძალის და განვითარების დონის მიუხედავად. ნატო ყოველივე ამის ნაწილია და არა თვითმიზანი. იანვარში ქართველების 78-მა პროცენტმა რატომ მისცა ხმა ნატოს? არა იმიტომ, რომ ანტირუსული განწყობა არსებობს. საქართველოში ერთ სოფელსაც ვერ იპოვით, სადაც თუნდაც ერთი კაცი რუსეთის წინაალმდეგ იყოს განწყობილი. და ეს, სხვათა შორის, მეტად განგვასხვავებს სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისგან და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისგან. არ დავაზუსტებ რომელ ქვეყნებს ვგულისხმობ, მაგრამ მინახავს, როგორი ანტირუსული განწყობა არის იქ. მაშ, რატომ ამბობს რუსეთი, რომ არ უნდა გაიყოს სერბეთი და საქართველოს დაყოფის შესაძლებლობას კი დასაშვებად მიიჩნევს.

**— რუსეთის მშვიდობისმყოფელები თქვენთვის პრობლემას წარმოადგენს?**

— სამშვიდობო ოპერაციები არა. არის რუსეთის ჯარები, რომლებმაც თავად არ იციან, იქ რა უნდა აკეთონ. და არის რუსეთის გადაწყვეტილება გამოვიდეს თანამეგობრობიდან, მაშასადამე, სამშვიდობო ოპერაციის ფორმატიდანაც. კოსოვოს გამო მოხდა ეს თუ ნატოს გამო, არ ვიცი, მაგრამ ამ ნაბიჯის შედეგები კარგად ვერ გათვალეს.

**— როგორ შეგიძლიათ სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლა?**

— საქართველოს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მასზე უარის თქმა.

**— მაშ რატომ არ ამბობს უარს?**

— უნდა დავრწმუნდეთ, რომ ყველა შესაძლებლობა ამოწურულია. თუმცა ახლა რუსეთმა თავად თქვა მასზე უარი. იქ რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის იურიდიული საფუძველი იმდენად მყიფეა, რომ მათ ადგილას დავფიქრდებოდი, ღირს თუ არა იქ დარჩენა.

**— თქვენ ამბობთ, რომ ნატოს არ ჩააბამთ საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების გადაჭრაში. თქვენს ტერიტორიაზე ნატოს ბაზა ხომ არ განლაგდება?**

— არავის და არასოდეს შემოუთავაზებია აქ ბაზების განლაგება. თუ შემოგვთავაზებენ, ვიმსჯელებთ. მაგრამ ეს ჩვენი გადასაწყვეტი იქნება. არ ვაპირებ ვინმეს რამეს შევპირდე. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ვფიქრობ, რომ ეს ბაზები აქ მალე არ გაჩნდება. და ეს ნამდვილად არ არის ჩემი ცხოვრების მიზანი. ასეთი გეგმების შესახებ არც კი ვიცი და შეიძლება ისინი არც არსებობს. არ ვისურვებდი, რომ ასეთ სიტუაციაში საქართველოს რაღაც ვალდებულებები ეკისრა.

**— საქართველომ ნატოს ქვეყნებს მოუწოდა ყურად არ იღონ ბუქარესტის სამიტზე რუსეთის პოზიცია. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე თვითაღიარებული რესპუბლიკების მიმართ მოსკოვის ბოლოდროინდელი მოქმედების გათვალისწინებით?**

— თუ ნატოს ქვეყნებს რუსეთისთვის სიკეთე უნდათ, ასეც უნდა მოიქცნენ. ვინაიდან რუსეთის იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც რაღაც დროებითი ოპორტუნისტული მოსაზრებებით თვითაღიარებული რესპუბლიკების მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებენ, უკვე ჩაითრიეს რუსეთი ისეთ გაუგებრობაში, რომლიდან გამოსვლაც საკმაოდ გაუჭირდება. საეჭვოა მოსკოვს ახლა კავკასიაში პრობლემები სჭირდებოდეს. არც ახალი თავსატეხი სჭირდება. ჩვენც ყველაფერს გავაკეთებდით, რომ რუსეთს აქ ყველა თავისი პრობლემა გადაეჭრა. მაგრამ განა მე უფრო მეტად უნდა განვიცდიდე რუსეთის ეროვნულ ინტერესს, ვიდრე რუსი პოლიტიკოსები? მთელი ეს განცხადებები ხომ უბრალოდ სიტყვებია. ეს ცეცხლთან თამაშია. კავკასიაში განცხადებებიდან ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ჯერამდე ძალიან პატარა დისტანციაა. ეს უნდა გვახსოვდეს. სხვათა შორის, პრეზიდენტ პუტინთან ბოლო შეხვედრისას ის გარკვევით შემპირდა, რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არასოდეს აღიარებსო.

**— რომელ შეხვედრაზე?**

— თანამეგობრობის თებერვლის სამიტზე. ეს პირობა მომცა და რუსეთმა თავისი სიტყვა შეასრულა, ის არასოდეს აღიარებს ამ ტერიტორიებს. იმ რუს პოლიტიკოსებს, რომლებიც ამბობენ,

→



№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● საქართველო პრეზიდენტის ინსტიტუტს შეინარჩუნებს, მაგრამ თანდათან უფრო საპარლამენტო მოდელზე გადავა. პრეზიდენტის ინსტიტუტის მთლიანად გაუქმება დამღუპველია. პრეზიდენტმა არბიტრის როლი უფრო უნდა ითამაშოს, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელის

## ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თუ ნატო კავკასიაში შემოვა, ასე და ასე ვიზამთო, მშვენივრად ესმით, რომ არავითარი აღიარება არ მოხდება.

**— მაგრამ ამ განცხადებას მავანი კი არა, სახელმწიფო სათათბირო აკეთებს.**

— მათ მიაჩნიათ, რომ ეს ნატოელთა დასაშინებელი დროებითი მანევრია. მაგრამ ნატოელებს არ ეშინიათ, კონფლიქტურ ზონებში კი სიტუაცია შეიძლება გაუარესდეს. ეს მე შემიძლია თავის შეკავება, რადგან გამოცდილება მაქვს. კონფლიქტურ ზონებში კი ადამიანებს იზოლაციისა და ინფორმაციის უქონლობის გამო თვალსაწიერი მეტად შეზღუდული აქვთ. არ არის საჭირო მათი გამოცდა. ისინი ყველაფერს სერიოზულად აღიქვამენ და არა როგორც თამაშს. თუმცა ყოველივე ეს სწორედ თამაშია და კრემლში ასეც აგვიხსნეს.

**— თქვენ კრემლში გითხრეს, რომ სოხუმისა და ცხინვალის თაობაზე რუსეთის განცხადებები თამაშია?**

—პირდაპირ ასე არ უთქვამთ, მაგრამ კრემლშიც და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ბევრჯერ მიგვანიშნეს, რომ ეს ყველაფერი სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ. რომ ეს მხოლოდ ტაქტიკაა.

**— ანუ თქვენ გითხრეს: ჩვენ აქ რაღაც განცხადებებს გავაკეთებთ, თქვენ კი მანდ არ ინერვიულოთო?**

— დიახ. ასეთი ტაქტიკაა. მაგრამ ამ ტაქტიკამ შეიძლება ძალიან ცუდ სტრატეგიამდე მიგვიყვანოს. ამიტომ არ ღირს ასეთი თამაში. სერიოზულ საკითხებზე სერიოზულად უნდა ვილაპარაკოთ. ჩვენ ძალიან მშვიდად ვეკიდებით ყოველივეს და გართულებებს არ ველით.

**— პრეზიდენტ პუტინთან თქვენი შეხვედრის შემდეგ საქართველოსთან ავიამიმოსვლა განახლდა, მაგრამ ურთიერთობაში გლობალური დათბობა არ მომხდარა. შერიგებაში რა გიშლით ხელს?**

— საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემებს ორ ნაწილად ყოფენ. ერთი მხრივ, თვითმფრინავები, ღვინო, ბორჯომი, საფოსტო კავშირი და ვიზები, ხოლო მეორე მხრივ— კონფლიქტები. და მიაჩნიათ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები ეს გეოპოლიტიკური, გლობალური საკითხებია.

**— ვის მიაჩნია?**

— სტრატეგებს, რომლებიც რუსეთის პოლიტიკას წარმართავენ.

**— თავად თქვენ როგორ მიგაჩნიათ?**

— მე ვთვლი, რომ რუსეთისთვის აჯობებს ეს საკითხები გადაწყვიტოს და ნაკლებად ინერვიულოს მათ გამო. საქართველოს დასაკარგი არაფერი აქვს. ჩვენ ბოლო თხუთმეტი წელია დაზარალებული მხარე ვართ. რუსეთს ვერაფერს ვერ შევპირდებით, გარდა კეთილგანწყობისა და მზადყოფნისა, ვიყოთ კარგი პარტნიორები და მეზობლები. როგორც კი კონფლიქტებში ნეგატიური როლის შესრულებას შეწყვეტს, რუსეთს შეუძლია რეგიონში მთელი სიტუაცია შეცვალოს. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: თუ სიტუაცია გაუმჯობესდა, რუსეთი ამით მოიგებს თუ წააგებს? ბევრი ფიქრობს, რომ წააგებს, ამიტომ არაფერი არ უნდა შეიცვალოს. აქაოდა, საქართველო ნატოში შევა და რუსეთს ხელს დაუქნევსო.

**— განა ასე არ მოხდება? განა ხელს არ დაუქნევს?**

— არა, რა თქმა უნდა, საქართველო ვერსად წავა, იგი სამუდამოდ რუსეთთანაა ჯვარდაწერილი.

**— ვლადიმერ პუტინმა არ აგიხსნათ, რატომ ეწინააღმდეგება რუსეთი ასე ნატოსთან საქართველოს დაახლოებას?**

— ჯერჯერობით მხოლოდ ერთ რამეს ვხედავთ: რუსეთთან ალიანსის ზოგიერთ წევრს ბევრად უკეთესი ურთიერთობა აქვს, ვიდრე საქართველოს, რომელიც ადრე ნატოში შესვლას არც ფიქრობდა. და იმის ნაცვლად, რომ საქართველოსთვის გასაღები მოერგოთ, რომლის შერჩევაც საკმაოდ ადვილია და რომელიც აშკარად მოსკოვში ინახება, ძალაყინით მოგვადგნენ და ცხვირწინ გვიქნევენ. ჩვენ კი პატარა ქვეყანა ვართ და ძალიან არ მოგვწონს, როცა ძალაყინს ვხედავთ.

**— მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება წერდა, რომ რუსეთმა შემოგთავაზათ ბათუმში ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის გახსნა, სანაცვლოდ კი ღვინისა და ბორჯომისთვის თავისი ბაზრის დაბრუნებას შეგპირდათ.**

— რაღაც წინადადებები იყო ჩვენი მოლაპარაკების დროს. მაგრამ პრობლემა რაში მდგომარეობს? ღვინო და ბორჯომი რუსეთში ადრეც იყო. მერე აკრძალეს, ახლა გვეუბნებიან, მოდით, დავაბრუნებთ, თქვენ კი ესა და ეს გააკეთეთო. რა გარანტია გვაქვს, რომ ისევ არ აკრძალავენ? ღვინოსა და ბორჯომზე რუსეთის ემბარგო წელიწადში 40 მილიონი დოლარი გვიჯდება. ეს ძალიან ცოტაა. რა თქმა უნდა, ემოციურად უსიამოვნოა, რომ მოსკოვში არ არის ქართული ღვინო. მაგრამ მას ქართული ეკონომიკა არ მოუკლავს. ვიღაცამ იხუმრა, რუსეთის მთავრობას კოლექტიური ძეგლი უნდა დავუდგათ თანამედროვე ქართული ეკონომიკის შექმნისთვისო. ამას ვეთანხმები. რუსეთის ემბარგოს მოქმედების განმავლობაში ბიზნესკლიმატის მიხედვით მსოფლიოში ბოლოს წინა ადგილიდან, რომელსაც ნიგერიასთან ვიყოფდით, მე-18 ადგილზე გადავინაცვლეთ. რუსეთი კი ისევ 101-ე ადგილზე დარჩა. რუსეთს შეუძლია თავის თავს ამის უფლება მისცეს, ჩვენ კი წინ გავვისროლა.

**— ახლა კი პატარა საქართველო დიდ რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არ უშვებს.**

— პირიქით, პრაქტიკულად ყველაფერზე შევთანხმდით. წერილებიც გავცვალეთ.

**— რის შესახებ?**

— რუსეთთან სამხრეთ ოსეთის საზღვარზე ერთობლივი საბაჟოსაგუშაგოების გახსნის შესახებ. ეს ადვილი გასაკეთებელია. ევროკავშირმა ეს უკვე გააკეთა დნესტრისპირეთისა და უკრაინის საზღვარზე ყოველგვარი პრობლემის გარეშე.

**— მოსკოვში ამაზე ოფიციალური თანხმობა მიიღეთ?**

— გვაქვს რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალური წერილი და რუსეთის მთავრობიდან ამაზე უარი არავის უთქვამს. ეს აფიქსირებს მოსკოვის ოფიციალურ პოზიციას.

**— ანუ საქართველო რუსეთს სავაჭრო ორგანიზაციაში შეუშვებს, როგორც კი სამხრეთ ოსეთში ქართველი მესაზღვრეები გამოჩნდებიან.**

— რუსეთმა ეს თავად შემოგვთავაზა და ჩვენც დავთანხმდით.

**— თუ რუსეთი ახლა ასე მტკივნეულად ეკიდება ნატოს, ხომ არ აჯობებდა ცოტა დაგეცადათ და ყველა საკითხი უკვე დიმიტრი მედვედევთან გადაგეწყვიტათ?**

— ეს საკითხები უფრო ადვილი გადასაწყვეტი გახდება, როცა საქართველო ნატოს მიუახლოვდება. არ მინდა, დიმიტრი მედვედევმა თანამდებობა წარსული პრობლემებით დამძიმებულმა დაიკავოს. მესმის, რომ მაინც ბევრ რამეს ვლადიმერ პუტინი გადაწყვეტს. მაგრამ მედვედევთან ყველაფერი ახალი ფურცლით უნდა დავიწყოთ. ჩვენ ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ და ეს მნიშვნელოვანია. იმ თაობისა, რომელსაც გული არ დასწყვიტა საბჭოთა კავშირის დაშლამ. მედვედევის საარჩევნო კამპანიას ინტერესით ვადევნებდი თვალს და მის ბევრ პოსტულატს მოვაწერდი ხელს. სწორად სვამდა აქცენტებს — სამართლის უზენაესობა, თავისუფალი ეკონომიკა, რუსეთის მოდერნიზაციის აუცილებლობა. ის, რომ არჩეული პრეზიდენტი რეალურ და არა მოგონილ პრობლემებზე ლაპარაკობს, მეტად დადებითი მომენტია. ამ თვალსაზრისით მეც გამიმართლა და რუსეთსაც.

**— თანამეგობრობაში მთავარი დემოკრატის იმიჯი შარშან შემოდგომაზე ოპოზიციის გამოსვლების სასტიკი დარბევით დაკარგეთ. რა საჭირო იყო ეს?**

— როგორც გაირკვა, ეს უბრალოდ ოპოზიციის მიტინგი კი არა, კარგად დაგეგმილი შეთქმულება იყო.

**— ვის მიერ?**

— განსვენებული ბიზნესმენის მიერ. ქართველებს არ სჩვევიათ გარდაცვლილზე აუგის თქმა, მაგრამ ეს დამტკიცდა. ეს დემოკრატიული პროცესის იმიტაცია იყო. პროტესტის ორგანიზება ხელისუფლების არაკანონიერი მეთოდებით დამხობის მიზნით მოხდა. ნებისმიერი დემოკრატია უნდა იცავდეს თავს. ყოველივე ამის შემდეგ მთელ ოპოზიციას მიუწვდება ხელი ყველა ტელეარხზე. არც ერთი პრეზიდენტი არ გადადგებოდა ისე, როგორც მე გადავდექი და ის, რომ ხმების 54 პროცენტი მივიღე, მოწმობს, რომ საქართველო ნამდვილ დემოკრატიად იქცა. აქ ამიერიდან არავინ არასოდეს მიიღებს ხმების 80 ან 90 პროცენტს. ასე რომ, ჩემთვის 54 პროცენტი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ადრინდელ 96 პროცენტთან შედარებით.

**— განსვენებულ ბადრი პატარკაციშვილთან თქვენს დაპირისპირებას იმას უკავშირებენ, რომ მას არ სურდა ტელეარხ „იმედის“ დათმობა, თუმცა პოლიტიკური ამბიციები გამოავლინა.**

— საქართველოს კანონების თანახმად მოქმედი პოლიტიკოსი ვერ იქნება ტელევიზიის მფლობელი. და პოლიტიკაში რომ ჩაბმულიყო, ამ ტელეარხთან განშორება მაინც მოუწევდა.

**— საქართველოში კრიზისი დაიწყო თქვენს წინააღმდეგ ირაკლი ოქრუაშვილის გამოსვლით. როგორც კი ხმა ამოიღო, მაშინვე გაჩნდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები.**

— ეს საქმეები ერთი წლით ადრე გაჩნდა, ვიდრე ჩემს წინააღმდეგ გამოვიდოდა. ასე ცდილობდა თავი გადაერჩინა, რადგან იგრძნო, რომ სასჯელი გარდაუვალი იქნებოდა.

**— თქვენ ერთხელ თქვით, რომ საქართველოს ევროპული კონსტიტუცია სჭირდება. პარლამენტის რესპუბლიკა იგულისხმეთ?**

— მას მერე, რაც ახალ პარლამენტს ავირჩევთ, პრეზიდენტის უფრო მეტ უფლებებს გადავცემთ მას. ვფიქრობ, კარგი პრეზიდენტი ის კი არ არის, ვისაც დიდი უფლებამოსილება აქვს, არამედ ის, ვინც კარგად იყენებს მას. საქართველო პრეზიდენტის ინსტიტუტს შეინარჩუნებს, მაგრამ თანდათან უფრო საპარლამენტო მოდელზე გადავა. პრეზიდენტის ინსტიტუტის მთლიანად გაუქმება დამღუპველია. პრეზიდენტმა არბიტრის როლი უფრო უნდა ითამაშოს, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელის.

*ინტერვიუ ჩაიწერა*
**ვლადიმერ სოლოვიოვმა**

Коммерсантъ

## ◉ თუ საქმეს ძირში ჩავხედავთ



***ვინც მე მიცნობს და რაიმე იცის ჩემი განვლილი ცხოვრების გზის შესახებ, დამერწმუნება, რომ გუნდრუკი არასდროს არავისთვის მიკმევია. დღემუდამ სიმართლესა და ჭეშმარიტებას ვემსახურებოდი. ჭეშმარიტების წინაშე მორჩილებას კი უდიდესი მორალური მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც გადავწყვიტე სიმართლე მეთქვა იმ ადამიანზე, რომელთანაც, უფალია მოწმე, არაფერი მაკავშირებს და რომლისგანაც არაფერს მოველი, ადამიანური კეთილი ურთიერთობის გარდა. უბრალოდ, სიმართლე ღმერთს გაუხარდება, უთქმელი, გაუხმაურებელი სიკეთე ხომ ჩამქრალი სანთელივითაა. ისიც კარგად მესმის, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევქმნათ მკვდარი, აბსტრაქტული ჭეშმარიტების კულტი.***

# შიშიდან სიმართლის კარამდე...

## ანუ ავად აგორებულმა ტალღამ მაიძულა

**პირდაპირ ვიტყვი, ვგულისხმობ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორს როლანდ ახალაიას, რომლის წინააღმდეგ ავად აგორებულმა ტალღამ მაიძულა ამ წერილის დაწერა.** თანაც ჩემი მისდამი არსებული უმართებულო წარმოდგენის გამო თავს ვალდებულად ვრაცხ, არ დავმალო ის, რასაც ამჟამად მასზე ვფიქრობ. თანაც ცნობილი სენტენციისა არ იყოს: „ვინც ჩვეულია სიმართლის დამალვას, ის სიკეთეს ვერ შეიგრძნობს, ვინც ჩვეულია სხვის უკან სვლას, წინ ვერასოდეს მოექცევა, ვისაც კარგის შექმნა არ შეუძლია, ჯეროვნად ვერ გამოიყენებს სხვის ნამუშევარს.“

მანამ, სანამ ჩავუღრმავდებოდი და შევისწავლიდი ბატონი როლანდის საქმიანობას, ის ერთი ბოლმიანი, თავისნათქვამა, შურისძიებით აღვსილი, კანონზე თვითნებურად მაღლა მდგომი ჩინოვნიკი მეგონა, მაგრამ თურმე ვცდებოდი და, მადლობა უფალს, შევძელი სიმართლეში გარკვევა და ბატონი როლანდ ახალაია, ჩემი წარმოდგენისგან საპირისპირო, სრულიად განსხვავებული პიროვნება გამოდგა.

ჩემთვის, ჰუმანური იდეებით მოსულდგმულე პიროვნებისთვის, მიუღებელია ადამიანთა უსამართლო დასჯა, მათთვის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ დაუსჯელობის სინდრომმა და შერჩევითმა მართლმსაჯულებამ უახლოეს წარსულში რაც მოგვიტანა, მშვენივრად ვნახეთ. თანაც, სახელმწიფო თავადაა რეპრესიული მანქანა, ხოლო სამართალი, რომელიც სახელმწიფოს აღმშენებლობის ძალაა, არის ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც დადგენილია და სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ, და რომლის შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნების ან იძულების წესით. ამით იმის თქმა მინდა, რომ კანონის დამრღვევთ ახალაია კი არ სჯიდა და სჯის, არამედ სახელმწიფო და სამართალი, რომლის უარყოფის, ე. ი. არმოქმედების შემთხვევაში, ისადგურებს ქაოსი, ძარცვა, ხოცვა-ჟლეტა, სწორედ ისეთი განუკითხაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კანონიერი ხელისუფლების ძალით დამხობის შემდგომ სრულიად საქართველოში და, მით უფრო, ჩვენს რეგიონში, სადაც დანაშაულებრივმა ბანდებმა და „მხედრიონმა“ ენით აუწერელი ცოდვა დაატრიალეს. სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა თავის რეფორმატორულ გუნდთან ერთად, რომლის აქტიური წევრიც როლანდ ახალაიაა. იგი სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენების ფასად დაუპირისპირდა ედუარდ შევარდნაძის რეჟიმს და, მიუხედავად მრავალგზისი დევნისა, სამსახურიდან განთავისუფლებისა, ბოლომდე ერთგული დარჩა იმ რეფორმატორული გზისა, რომელმაც მოიტანა ევროატლანტიკური სივრცისკენ მავალი დღევანდელობა.

### უახლოესი წარსული

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსკოვში ე. წ. პეტროვკას 38-ში, მილიციის სპეციალურ სამმართველოში ფუნქციონირებდა სამეგრელოს, განსაკუთრებით ზუგდიდელი კანონიერი ქურდების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება, რაც ადასტურებს ჩვენს რეგიონში ქურდული მენტალიტეტის არნახულ სიმაღლეს.** ცოტა ხნის წინათ, ჩვენი ახალგაზრდობის აბსოლუტურ უმრავლესობას „კანონიერი ქურდობა“ სურდა, რადგანაც ქვეყანა ქურდული კანონებით იმართებოდა, სამართალდამცავ ორგანოებზე „ეფექტიანად“ დამნაშავე ბანდები მოქმედებდნენ. ქვეყანაში მოშლილი იყო როგორც ტრადიციული, ასევე სამართლებრივი ინსტიტუტები და განსაკუთრებით ჩვენი კუთხე გახდა ე. წ. კანონიერი ქურდების სამჭედლო.

დღე არ გაივლიდა ისე, ვინმე არ დაეყაჩაღებინათ, არ დაეუთოებინათ, არ ეწამებინათ, ფულის გამოძალვის მიზნით არ გაეტაცათ... მანქანების ქურდობა ხომ ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. როგორც ამბობდნენ, ამ დანაშაულებრივ საქმეებში ზოგიერთი პოლიციის თანამშრომელიც იყო გარეული. ამის გარდა, მათ ხელს მაღალი თანამდებობის პირებიც აფარებდნენ, და ჩვენი კუთხე დაემგვანა ჯოჯოხეთს, საიდანაც ყოველთვე ასობით ადამიანი მიდიოდა ემიგრაციაში. დიახ, შიშისა და განუკითხაობის გამო ერის საუკეთესო შვილები ტოვებდნენ — ოჯახებს, მშობლებს, საყვარელ ადამიანთა საფლავებს...

იხ. 12 გვ.

№ 60. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

# ახლა

● **48 წელიწადი გვაშორებს რომის ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც განსაკუთრებით დაუვიწყარია რობერტ შავლაყაძისთვის. სწორედ, იტალიის დედაქალაქში ამობრწყინდა ქართველი მძლეოსნის ოლიმპიური ოქროს ვარსკვლავი...**



## ◎ თუ საქმეს ძირში ჩავხედავთ

(მეთერთმეტე გვერდიდან)

# შიშიდან სიმართლის კარამდე...

ნარკომანია სამეგრელოში ცალკე თემაა, თითქმის ყოველი ქუჩის ბოლოს ან დასაწყისში ე. წ. „ბარიგები“ ნარკოტიკებს ყიდიდნენ და იწამლებოდა და ნადგურდებოდა ჩვენი გენოფონდი. მე-8 კლასის ზემოთ ჩვენი მოსწავლეების ორმოც პროცენტზე მეტი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო. საუბედუროდ, ამ მომაკვდინებელ საქმიანობასაც სამართალდამცავები „კრიშავდნენ.“ ვარდების რევოლუციის შემდგომ 3-4 წელიწადში, თავაუღებელი შრომის ფასად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულს, უზნეობასა და უკეთურობას ბოლო მოელო, ჩვენი ქვეყანა, მათ შორის ჩვენი კუთხე დაემსგავსა თანამედროვე ტიპის ევროპულ ქვეყანას, რეგიონს, სადაც როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე სტუმარი თუ ტურისტი თავს სრულიად უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობს. ამაშიც, ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ უმთავრესი წვლილი ბატონ როლანდ ახალაიას მიუძღვის. სწორედ მისმა შეუვალობამ, დამნაშავე სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილმა პრინციპულობამ და საქმისადმი ერთგულებამ მოიტანა დღევანდელი სინამდვილე. წარსულს ჩაბარდა „ნარკოტიკული თავისუფლება“ და „ბარიგული თავდადება...“

### დასჯილი პატიოსნები“

**მავანნი ავრცელებენ ხმას, რომ ახალაია პატიოსან ხალხს იჭერსო.** მწამს, მის მიერ თავისუფლებააღკვეთილი ადამიანებიდან, რა თქმა უნდა, იქნებოდნენ და იქნებ ახლაც არიან შეცდომით დასჯილები, მაგრამ მის მიერ დაპატიმრებული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთაც „პატიოსნებად“ მოიხსენიებენ, იყვნენ და არიან ხაზინის ქურდები, ადამიანები, რომლებიც საბჭოთა სისტემიდან გადმოყოლილი მანკიერი თვისებების გამო, ნებით თუ უნებლიეთ, მოხვდნენ კანონის დამრღვევთა რიგებში. ასე ვთქვათ, ძველი ყაიდის ინჟინრებმა, მშენებლებმა, მეტყევეებმა, საქმოსნებმა და ა. შ. „პატიოსანმა“ ადამიანებმა გააგრძელეს ის საქმიანობა, რასაც ეწეოდნენ განუკითხაობის დროს. მაშინ ხომ ყველაზე ჭკვიან, ნიჭიერ და წარმატებულ ინჟინრად თუ მშენებლად ის ითვლებოდა, ვინც მეტ საშენ მასალას, ფულსა და ა. შ. მოპარავდა ქვეყანას, ხოლო სულელ, უფრო სწორად, პატიოსან სულელს უწოდებდნენ ზნეკეთილ, ჭეშმარიტად პატიოსნად მომუშავე ადამიანს. მენტალიტეტი — სადმე მივალ და ბევრ ფულს ვიშოვი, უნდა მოიშალოს. ჩვენი მართებული საქციელით მაგალითი უნდა მივცეთ მომავალ თაობას, თორემ წარმოიდგინეთ, ყველამ თუ მოიპარა, ყველამ თუ ძარცვა ეს ქვეყანა და კორუფციამ ისევ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, თავზე დაგვემხობა ყველაფერი და ქართველი და საქართველო აღიგვება პირისაგან მიწისა.

როლანდ ახალაიას ყოველივე ეს მართებულად გაცნობიერებული აქვს. უნდა შევიგნოთ, 10 თუ 20 ლარის მომპარავ ჯიბგირზე ათასგზის საშიში ხაზინის ქურდები არიან, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ „პატიოსანი დამნაშავეები“ უწოდა.

ილუზია იმისა, რომ ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი სწორად ხდება, არა მაქვს, მაგრამ უმთავრესი გზასავალი მართებულად რომაა განჭვრეტილი, ამაში ეჭვი არ მეპარება.

### ყოველდღე...

**თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი ჭორები გორდება როლანდ ახალაიასი და მისი ოჯახის წინააღმდეგ. ნათქვამია, ცუდას რად უნდა მტერობაო, მაგრამ ასეთ იწილო-ბიწილოს შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა მოყვეს და უდანაშაულო ადამიანები შეეწირონ არჯალთა ქვენაგრძნობებსა თუ თვალთმაქცობას.**

ამას წინათ, ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ზუგდიდში მდებარე უნივერმაღ „ენგურის“ გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა. თითქოსდა, „ენგურის“ მყიდველებს უნივერმაღის დაკანონების სანაცვლოდ, როლანდ ახალაიამ წილში ჩაჯდომა მოსთხოვა. ამის თაობაზე



სხვადასხვა რესპუბლიკურ გაზეთშიც დაიწერა. პირადად დავინტერესდი ამ საკითხით, ჩავატარე ჟურნალისტური გამოძიება და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ — ეს აბსოლუტური სიცრუეა. სამწუხაროდ, როგორც დავრწმუნდი, ჩვენს რეგიონში დღესაც არიან ადამიანები, რომელთაც არ სურთ როლანდ ახალაიას დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნა და ყველაფერს აკეთებენ, რათა საზოგადოება და, მათ შორის, ცნობილი და გავლენიანი ბიზნესმენები დაუპირისპირონ მას, რათა პრეზიდენტამდე მიაღწიოს ხმამ — როლანდ ახალაია არც ისეთი უცოდველი კრავია, თქვენ რომ წარმოგიდგენიათო, მაგრამ აქაც დროზე გაირკვა ყველაფერი და საქმე — სიმართლით დასასრულისკენ წავიდა!

### ლირიკული გადახვევა

**როდესაც როლანდ ახალაიას პიროვნებას ვეცნობოდი, ჩემთვის პატივსაცემმა ადამიანმა, ცნობილმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, ზვიად გამსახურდიას მთავრობის წევრმა, ჩხოროწყუს ყოფილმა პრეფექტმა ვალერი გაბელიამ მიამბო, რომ 1991 წელს მისი პრეფექტობის ჟამს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაკიანში როლანდ ახალაიას თავის მეგობრებთან ერთად აღუდგენია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც ახალაიების საგვარეულო ეკლესიად ითვლებოდა თურმე. ამ დროიდან არის ჩემი ქრისტესმიერი ძმა როლანდ ახალაიაო, მითხრა ვალერი გაბელიამ.**

ერთმა ჭკვიანმა კაცმა, პედაგოგმა გეგე ახალაიამ მიამბო, ჩვენს სულ პირველ წინაპარს — ახალას მეზობელი გოგოს გაბახება არ შეურჩენია ბატონისთვის და მარჯვენა მოუჭრია ხანჯლის ერთი დაკვრითო. ის ახალა ცხენის ძუაზე გამოუბამთ და ასე წვალებით ამოუხდიათ სული. მის საპატივსაცემოდ შემდეგ მისი მოდგმისანი ახალაიები გავხდითო.

იმ ჭკვიანმა გლეხკაცმა ისიც მითხრა, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაკიანში ჩვენმა წინაპრებმა ახალაიებმა ააშენეს თეთრი გიორგის სახელობის ეკლესიაო.

### დასასრულისკენ...

**თუ ვინმე მეტყვის — როლანდ ახალაიას რაღაც საქმის მოგვარების გამო ოდესმე ფული აუღია ან ვინმეს წილში „ჩასჯდომიაო,“ მთელს საქართველოს ათას ბოდიშს მოვუხდი.**

სხვათა შორის — ეს მექრთამეობის, კორუფციისა და „წილობანაობის“ ეპოქაში უიშვიათესი შემთხვევაა! ამისთვისაც დიდ მადლობას ვწირავ ბატონ როლანდს, და მისი დეპუტატობით დაინტერესებულთ მინდა ვაუწყო: არ იყრის დეპუტატად კენჭს, ბატონებო. როლანდ ახალაია კვლავაც რჩება თავის თანამდებობაზე, შიშად ბოროტმოქმედთა და იმედად პატიოსანთა.

**ლექსო თორია,**
*ჟურნალისტი*

## ◎ ვარსკვლავი

# დაძლეული სიმაღლეები

**48 წელიწადი გვაშორებს რომის ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც განსაკუთრებით დაუვიწყარია რობერტ შავლაყაძისთვის. სწორედ, იტალიის დედაქალაქში ამობრწყინდა ქართველი მძლეოსნის ოლიმპიური ოქროს ვარსკვლავი...**

1960 წელს სპეციალისტები სიმაღლეზე მხტომელთა ტურნირის ბევრ ფავორიტს ასახელებდნენ. მათ შორის რობერტ შავლაყაძეს მოკრძალებული ადგილი ეკავა. არც არის გასაკვირი: ამერიკელმა ჯონ თომასმა ზედ ოლიმპიადის წინ სამჯერ გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა და პირველმა გადალახა 220 სანტიმეტრზე შემოდებული თამასა. აბა, ვის მოუბრუნდებოდა ენა სათქმელად, რომ ამერიკელ ზანგს მაშინ ვინმე აჯობებდა. მით უმეტეს, რომ მისი ბოლო რეკორდი ქართველი მხტომელის პირად მიღწევას მთელი 7 სანტიმეტრით აღემატებოდა. შავლაყაძეს შედეგებით ბრუმელი (217 სმ.ძ და ბოლშოვიც (215ძ სჯობდნენ. ახალგაზრდა კონკურენტები ტაქტიკით დაჯაბნა დაბრძენებულმა სპორტსმენმა.



ასპარეზობის წინ ბატონმა რობერტმა მეტოქეებისგან განსხვავებით, გადაწყვიტა შეჯიბრება 2 მეტრი სიმაღლით დაეწყო. პირველსავე ცდაზე ევლებოდა ბარიერს. საკუთარი რეკორდი 1 სანტიმეტრით რომ გააუმჯობესა (214 სმ.ძ, მაშინ შედრკნენ ფავორიტები. უპირველესად, თომასი არ მოელოდა ამგვარ გამოწვევას. დაიბნა კიდეც. ძლივს დაძლია მესამე ცდაზე 214 სანტიმეტრი, რითაც „ბრინჯაო“ ხვდა. ქართველმა მძლეოსანმა კი მეტოქეებსაც აჯობა და საკუთარ თავსაც — 216 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე ბრუმელი გავიდა.

შავლაყაძის ეს წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მან სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელთა ოლიმპიურ ჰეგემონიას თამაშებამდე ერთი წლით ადრე შეუქნა წყალი, როცა ფილადელფიაში „გიგანტთა მატჩისას“ მსოფლიო კლასის მხტომელებს — უილიამსსა და დიუმასს მოუგო.

სოციალისტური ქვეყნების თამაშების შვიდგზის გამარჯვებული და საკავშირო ჩემპიონატების სამგზის მეორე პრიზიორი არც ოლიმპიური თამაშების შემდეგ მოხვედრილა ჩრდილქვეშ. 1962 წელს ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ორი წლის შემდეგ იმხანად მსოფლიოს ექვსგზის რეკორდსმენს ვალერი ბრუმელს აართვა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი. რომ არა საბედისწერო წელკავი, იგი თავის სიტყვას ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზეც იტყოდა, სადაც მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა, სამაგიეროდ, მისმა თანადგომამ აიყვანა ოლიმპზე ბრუმელი. „მე უსაზღვროდ ვემადლიერები შესანიშნავ სპორტსმენს... რობერტ შავლაყაძეს. ეს იყო დიდებული მებრძოლი, მაგრამ უფრო დიადი თავისი კეთილშობილებით. ამ მხრივ, იგი ჩემთვის სამაგალითო ადამიანია“, — წერს ტოკიოს ოლიმპიური ჩემპიონი.

ღირსეულ მამულიშვილსა და სახელოვან ათლეტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ რობერტ შავლაყაძეს დღეს 75 წელი უსრულდება.

გულითადად ვულოცავთ იუბილეს!

**ვაჟა დანელია**

## ◎ ჭადრაკი

# ჩემპიონს — „ოქრო“, ვიცე-ჩემპიონს — დიდოსტატობა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ნოკაუტსისტემით წარიმართა. შეჯიბრებაში 32 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა.**



მთელი დისტანცია წარმატებით განვლო ლევან ფანცულაიამ (2629ძ, რომელმაც ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა და ფინალში 18 წლის გიორგი მარგველაშვილს (2455ძ შეხვდა. პირველი პარტია ყაიმით დამთავრდა, რითაც მარგველაშვილმა, ფაქტობრივად, დიდოსტატობა გაინაღდა. ეტყობა, ახალგაზრდა მოჭადრაკე ემოციებს ვერ მოერია და მომდევნო ორი ხელი პირწმინდად დათმო. 2,5:0,5 გამარჯვება ფანცულაიამ და ჩემპიონობასთან ერთად 3000 ლარიც დაიმსახურა. ხუთასი ლარით ნაკლები ხვდა მარგველაშვილს, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ფანცულაიასთან და მესამეადგილოსან მიხეილ მჭედლიშვილთან (მან შანავა დაამარცხა 2,5:1,5ძ ერთად ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია დააფინანსებს.

**სურათზე: გიორგი მარგველაშვილისა (მარცხნივძ და ლევან ფანცულაიას ფინალური შეხვედრის მომენტი.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

● მომავალ პლეი-ოფში ერთმანეთთან, ალბათ, თსუ და „ავიამშენი“ დაწყვილდებიან. ამიტომ მათი საკვირაო ჯახი თამამად შეგვიძლია დამდეგი ბატალიების წინ გენერალურ რეპეტიციად მივიჩნიოთ

◎ კალათბურთი

# „ვითას“ გაზაფხული

**XVII ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტური „ენერჯი ინვესტისა“ და „მაკაბის“ მატჩით გაიხსნა, რომელსაც მეტოქენი მძიმე საკადრო დანაკარგებით შეხვდნენ: მოგეხსენებათ, თბილისელთა კაპიტანი გიორგი შემარდინი სტაჟირებაზე ოკეანისგაღმა გაემგზავრა. რაც შეეხება მასპინძლებს, მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან კონფლიქტის გამო გუნდიდან მათი სასტარტო ხუთეულისა და ეროვნული ნაკრების წევრი ანატოლი ბოისა დაითხოვეს.**

როგორც თამაშის მსვლელობამ დაგვარწმუნა, სრულფასოვანი სათადარიგო სკამით გამორჩეულ ქვემო ქართლელებთან შედარებით, შერმადინი ჯამლეტ ხუხაშვილის კლუბისთვის შეუცვლელი ფიგურა ყოფილა. შეხვედრის შედეგი – 103:53 რუსთაველთა სასარგებლოდ, დაგვეთანხმებით, ყველაფერზე მეტყველებს. მატჩის საუკეთესო მონაწილე ზვიად ბაბიაშვილი („ენერჯი ინვესტი“) 22 ქულითა და 9 მოხსნით გამოირჩა.

პლეი-ოფის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის „დინამოსა“ და „ვითას“ დუელს. მსაჯის შეურაცხყოფისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯილი კაპიტნის ლექსო ლაფანაშვილის არყოფნა „თეთრ-ლურჯთათვის“ საბედისწერო აღმოჩნდა – ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა 73:66 იმარჯვეს და ცალი ფეხით ნახევარფინალში შეაბიჯეს.

**ყველაზე შედეგიანები:** მიხეილ ბერიშვილი – 22 ქულა, 15 მოხსნა, დავით ბერძენიშვილი – 15 ქულა, ვლადიმერ ბეჟანიშვილი – 13 ქულა, გიორგი მარკოიშვილი – 11 ქულა („ვითა“); ვიქტორ სანიკიძე – 16 ქულა, 19 მოხსნა, რევაზ ათანელიშვილი, ირაკლი გულისაბედაშვილი, ნოდარ სიგუა – 9-9 ქულა („დინამო“).



მომავალ პლეი-ოფში ერთმანეთთან, ალბათ, თსუ და „ავიამშენი“ დაწყვილდებიან. ამიტომ მათი საკვირაო ჯახი თამამად შეგვიძლია დამდეგი ბატალიების წინ გენერალურ რეპეტიციად მივიჩნიოთ. საგულისხმო შედეგის გათვალისწინებით, გულშემატკივარს თვალსასეირო სანახაობა ელის – ავიატორებმა სტუდენტები მეორე დამატებით დროში დაამარცხეს – 115:113 (85:85, 97:97).

**ყველაზე შედეგიანები:** კოტე ტუღუში – 27, გიორგი ნიკოლაძე – 25, ვახტანგ მინაშვილი – 24, თორნიკე ნინიაშვილი – 13 ქულა („ავიამშენი“); დავით ბერიშვილი – 27, დავით ბარბაქაძე – 23, შიო ხეცურიანი, ირაკლი კეიდია – 20-20 ქულა (თსუ).

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

◎ ფეხბურთი



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

# აქეთურ-იქითური

**XIX ეროვნული ჩემპიონატი. XIX ტური.** „დინამო“ „მგლები“ 1:0 (გოლი 90-ე წუთზე მერებაშვილმა გაიტანა), „ბორჯომი“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:2 (სტუმრებმა გადამწყვეტი უპირატესობა დასკვნით 15 წუთში მოიპოვეს), „სიონი“ – „მესხეთი“ 1:0 (ავალიანი), „მერანი“ – „ამერი“ 1:5, „ოლიმპი“ – „ზესტაფონი“ 0:3, „დილა“ – „ლოკომოტივი“ 1:1 (რკინიგზელები 94-ე წუთზე ალექსიძემ იხსნა), „ცხინვალი“ – „ბათუმი“ 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ – 51, „ვიტ ჯორჯია“ – 49, „ზესტაფონი“ – 45, „ამერი“ – 35, „ოლიმპი“ – 31, „ბორჯომი-“ – 28, „მესხეთი“ – 25, „მგლები“ – 24, „სიონი“ – 23, „ცხინვალი“, „მერანი“ – 16-16, „ლოკომოტივი“ – 14, „ბათუმი“ – 12, „დილა“ – 8 ქულა.

* * *

**იტალია. XXXI ტური.** „ლაციო“ – „ინტერი“ 1:1, „კალიარი“ – „რომა“ 1:1, „იუვენტუსი“ – „პარმა“ (გადაიდო).

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 69, „რომა“ – 65, „იუვენტუსი“ – 58 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ატლანტა“ – „ინტერი“, „რომა“– „ჯენოა“, „პალერმო“ – „იუვენტუსი“.



**ესპანეთი. XXX ტური.** „რეალი“ – „სევილია“ 3:1, „ვილიარეალი“ – „ატლეტიკო“ 3:0, „ბეტისი“ – „ბარსელონა“ 3:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ – 65, „ვილიარეალი“ – 59, „ბარსელონა“ – 58 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მალიორკა“ – „რეალი“, „სევილია“ – „ვილიარეალი“, „ბარსელონა“ – „ხეტაფე“.

**ინგლისი. XXXII ტური.** „მანჩესტერი“ – „ასტონ ვილა- 4:0, „ჩელსი“ – „მიდლსბრო“ 1:0, „ბოლტონი“ – „არსენალი“ 2:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“ – 76, „ჩელსი- – 71, არსენალი“ – 70 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მიდლსბრო“ – „მანჩესტერი“, „სიტი“ – „ჩელსი“, „არსენალი“ – „ლივერპული“.

**გერმანია. XXVI ტური.** „ნიურბერგი“ – „ბაიერნი“ 1:1, ჰამბურგი“ – „ბილეფელდი“ 1:1, „კარლსრუე“ – „შალკე“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ – 54, „ჰამბურგი“ – 47, „შალკე“ – 45 ქულა.

**შემდეგი ტური.** „ბაიერნი-– „ბოხუმი“, „შტუტგარტი“ – „ჰამბურგი-, „შალკე“–„ჰანზა“.

**საფრანგეთი. XXXI ტური.** „ვალანსიენი“ – „ლიონი“ 1:2, „ბორდო“ – „ნანსი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 67, „ბორდო“ – 58, „ნანსი“ – 52 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მარსელი“ – „ლიონი“, „რენი“ – „ბორდო“, „ნანსი“ – „პსჟ“.

◎ ადამიანი დროში

# შენ იგივე ხარ მარად და მარად!



**სახელგანთქმულ წყალბურთელსა და გამოჩენილ მეცნიერ-მათემატიკოსს, ჩვენს უსაყვარლეს ყმაწვილკაცობის მეგობარს ლერი გოგოლაძეს სამოცდაათი წელი შეუსრულდა. საოცარი ის არის, რომ დრო გადის და ის კი არ იცვლება. ჩვენი დუდუ (ასე ეძახიან ახლობლები), კვლავ ფორმაშია, „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. სკოლის ოქროს მედალოსნობიდან – ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსნობამდე, წარჩინებული სტუდენტობიდან – სახელოვან პროფესორამდე განვლილ გზას ბოლო ათ წელიწადში ბევრი სასიამოვნო დღე, წუთი და წამი მიემატა. სწორედ ამ პერიოდში დაქორწინდა მისი ლამაზი და ჭკვიანი ქალიშვილი ანა, გონიერი და ღონიერი ოჯახი შეიქმნა, ციცი ბებო და ლერი ბაბუ კოხტა – პაწია ნინოთი გაახარა.**

საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში მრავალგზის გამარჯვებულმა შეჯიბრების ჟინი, მონდომება, დღეისთვის მათემატიკოსთა მსოფლიო ოლიმპიადებზე გადაიტანა და მისმა შრომისმოყვარეობამ, პედაგოგიურმა ალღომ, ბრძოლისუნარიანობამ სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ახალგაზრდა მათემატიკოსთა ფორუმებზე პატარა საქართველოს დიდი წარმატებები მოუტანა – მისმა აღზრდილებმა არაერთი ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლითა და საპატიო დიპლომით გაახარეს თავიანთი მასწავლებლები, სკოლა, ქალაქი, სამშობლო.

ბოლო დროს კიდევ ერთი დიდი საქმე, დიდი პასუხისმგებლობა, მოვალეობა დაეკისრა ლერის ჩვენთან ერთად. მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ვეტერანი წყალბურთელები ვერც კი წარმოვიდგენდით იმას, რაც ბოლო თვეებში ჩვენს ცხოვრებაში მოხდა. დიდმა ქართველმა ქველმოქმედმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ნება დაგვრთო, მის მიერ შექმნილ „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო კომპლექსში სრულფასოვანი მუშაობა წარვმართოთ ქართული წყალბურთის ძველი დიდების აღსადგენად! ამიტომაცაა, ამ დღეებში ჩვენმა იუბილარმა ლერი გოგოლაძემ აუზში სიარულს რომ უმატა.

წყალბურთი უნიკალური სპორტია, არაორდინარული. წარმოიდგინეთ წყალში ბურთის თამაში, თანაც უმძიმესი სპეციალობა – მეკარეობა. თუ ვინმეს შეუძლია დღეს ეს პროფესია ახალგაზრდებს ზედმიწევნით შეასწავლოს, უპირველესად ჩვენი ლერია, როგორც ლეგენდარული მეკარე და დამსახურებული პედაგოგი, მრავალმხრივ განსწავლული და გამოცდილი ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში. გვჯერა, რომ იგი ღირსეულ მეკარეებს აღუზრდის ჩვენს გუნდს, უფრო სწორად, ჩვენს მიერ დაარსებულ წყალბურთის სპორტულ კლუბ „ივერიას“.

წყალბურთში ჩვენი ლერის დიდოსტატობაზე, რომ ვლაპარაკობთ, უმალ გვახსენდება 60-იანი წლები, საბჭოთა კავშირის ნაკრების უპირველესი მეკარის ლერი გოგოლაძის სპორტული ცხოვრების ნათელი ფურცლები. იმდენად დარწმუნებული ვიყავი ჩვენი კარის დარაჯის ოსტატობაში, რომ ხშირად გადამწყვეტ შეხვედრებშიც კი მეტოქე გუნდების მოთამაშეებს ჩვენს ლეგენდარულ მეკარესთან პირისპირ ვტოვებდით. სანამ იგი ბურთის სატყორცნელად მოემზადებოდა, ლერი იმდენად „ამოდიოდა“ წყლიდან და ჩერდებოდა მის ზედაპირზე, რომ შეცბუნებული მოწინააღმდეგე ხეირიან დარტყმას ვერ ახერხებდა და ბურთი ლერის რჩებოდა, თვალის დახამხამებაში წინ დარჩენილებს გადმოგვიგდებდა და გოლიც უპრობლემოდ გაგვქონდა. ერთი ასეთი ფაქტიც მახსენდება: საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს, მოსკოვის უნივერსიტეტის მოთამაშე კუზნეცოვს ჩვენს კარში პენალტი უნდა დაერტყა. ამ დროს ლერი წყლიდან ისე ამოფრინდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომ მოსკოველმა 4-მეტრიანი საჯარიმოს დარტყმა ვერ გაბედა: მსაჯის სასტვენისას ბურთი წყალზე დადო, ჩაიყურყუმალავა და დამორცხვებული ჩვენს კარებს გაეცალა...



კიდევ უამრავი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ ამჯერად ორიოდე მაგალითით შემოვიფარგლებით, რადგან ჩვენი საამაყო ლერი მორიდებული კაცია, ტრაბახი არ უყვარს და ვშიშობთ, არ ეწყინოს, ზედმეტ ქებად არ მიიღოს ჩვენი მართალი სიტყვა.

მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონების სამშობლოში – წყალბურთის მექაში, გამოცდილი უნგრელი გულშემატკივრების გარდა ყველაფრის მნახველი ჩემპიონებიც კი გადარია. მსოფლიოს ვარსკვლავები კანიჟა და დემეტერი პირისპირ გადიოდნენ, აუღებელ ბურთებს ურტყამდნენ თითქმის ერთი-ორი მეტრიდან, ჩვენი ლერი კი იმ ბურთებს ადგილზე „აქვავებდა“. ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს (რა თქმა უნდა, ლერისთან ერთად) ოტო ბოროშის პირად საუბრებში არაერთხელ უთქვამს: „სად ისწავლა ასეთი მეკარეობა... როგორ ამოდის და ჩერდება წყალზე, ჩემთვის დღემდე გაუგებარია“. იუგოსლავი ვარსკვლავი მეკარე მუშკეტეროვიჩი კი საერთოდ ბრაზობდა“, თითქოს მასზე ძლიერი ვარ ფიზიკურად და რას შვრება, რა ძალა აქვს ასეთი, როგორ დარტყმებს იგერიებს, უფრო სწორად, როგორ „აქრობსო“.

საბჭოთა წყალბურთის ვარსკვლავები – კურენნოი, კარტაშოვი, შიდლოვსკი, გრიგოროვსკი და სხვები, მხოლოდ ლერისთან ვარჯიშისას ხვეწდნენ თავიანთ ოსტატობას, ძლიერ და ტექნიკურ დარტყმებს ქართველი მეკარის მეშვეობით ამოწმებდნენ.

ახალგაზრდობაში სპორტული დიდებით განვლილი წლები დიდი მეცნიერული წარმატებებით დაგვირგვინდა, პროფესორი ლერი გოგოლაძე ოთხჯერ იყო არჩეული თსუ-ს ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგედ. მისი ფუნდამენტური შრომები იბეჭდებოდა საზღვარგარეთ; არაერთ საერთაშორისო სიმპოზიუმში მიუღია მონაწილეობა; მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ლერი გოგოლაძე წლების განმავლობაში მუშაობდა უნივერსიტეტის პრორექტორად, სხვა პასუხსაგებ თანამდებობაზეც. საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების პატივისცემა დაიმსახურა.

გვაპატიოს ძვირფასმა მკითხველმა, ლერი გოგოლაძის კოლეგა-მეგობრებმა რომ მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ფართო სპექტრი სრულად ვერ წარმოვადგინეთ. ჩვენ დუდუს „წყალბურთის მეგობრები“ ვართ, ამიტომ უფრო ამ კუთხით გადავიხარეთ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ლერი გოგოლაძე ჩვენთვის ურეგალიებოდაც დიდი პიროვნებაა – პატრიოტი, ოჯახის, მეგობრებისა და საქმის მოყვარული, რომელსაც დღეს 70 წელი უსრულდება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ლერი!

**წყალბურთის სპორტული კლუბი „ივერია“.**

# ნაირფერი კაბადონი

● დათაშკა კავსაძე 1952 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა თუ დახვრიტეს. მისი საფლავი უცნობია




**ⓞ არდავიწყება**

## იგი სხვა ხიბლისა დარჩა

**კოლმეურნეობის კლუბში უჩვენებდნენ ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“. კლუბი დიდი იყო, მაგრამ, მაინც ვერაფრით იტევდა სოფლელებს – „საბჭოთა მშრომელებს“, რომლებიც, კოლექტივის სათოხრიდან თუ ჩაის პლანტაციებიდან დაბრუნებულნი, ფაცხაფუცხით გაკოხტავებულიყვნენ და ახლა ერთი ამბავი ჰქონდათ კლუბის შესასვლელთან მდგარ კინომექანიკოსთან.**

ბოლოს, როგორც იქნა, ყველა „დაატია“ ალიოშა მაჩალაძემ (იატაკზე ისხდნენ ბავშვები და ახალგაზრდებიძ და ფილმიც გაუშვა.. ბატონი სერგო ზაქარიაძე ხომ იყო და იყო, მაგრამ ახალგაზრდებს ბელა მირიანაშვილის გმირის ბედი, მსახიობის მომხიბვლელობა, ცხადია, უფრო მოგვწონდა.



როგორც მახსოვს, სოფელში ვეთაყვანებოდით კიდეც ბიჭები მის სილამაზესა და მიმზიდველობას... მერე „საბუდარელ ჭაბუკში“ შექმნილმა სახემ, ხომ სულ ერთიანად დაგვიპყრო.. „მე ხომ გულით ვიხედები, გული ჩემი თვალებია“ – ვმღეროდით ახალგაზრდები.

უკვე თბილისში რამდენიმე სპექტაკლი ვნახე ბელა მირიანაშვილის მონაწილეობით. მე რა ვიცოდი, თაყვანისმცემლები, თურმე, აქ ჰყავდა თუ ჰყავდა ნიჭითა და გარეგნობით გამორჩეულ რუსთაველის თეატრის მსახიობს...

მერე ცხოვრებამ მრავალი სიხარული, მრავალი სევდა და ნაღველი აგემა, დაჩაგრა ავადმყოფობამ.... ყურადღება და სითბო არავისგან მოჰკლებია...

...ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან ჩვენი ბელა, ნიჭიერი მსახიობი, სიყვარულისთვის გაჩენილი, სათნო ქალბატონი... დღეს მისი დაბადების დღეა, შევცქერი ხოლმე, ხანდახან, ტელევიზიით ბელა მირიანაშვილის მიერ განსახიერებულ როლებს და კვლავაც ვრწმუნდები, „რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენება“.

**ⓞ გვარიშვილობა**

## ბედი დათაშკა კავსაძისა

**კახი კავსაძე დამეკარგა – თურმე, ტელეფონის ნომერი შეუცვლია და მე რა ვიცოდი, არადა, ვეღარ ვასწრებ, რომ დღევანდელ საავტორო გვერდში მივცე მასალა წუხელ რუსთაველის თეატრში გამართული საღამოს შესახებ, რომელიც კავსაძეების სახელოვან გვარს და, კერძოდ, კახის საფიცარი მამის – დავით (დათაშკაძ კავსაძის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.**

ჰოდა, ვაჟიშვილი მოიგონებდა მამას.. არ გამოდის... აი, აქ დამეხმარა ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი და ლოტბარი, ქართული ფოლკლორის დიდი ქომაგი, ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი. ვიცოდი, ამ ცენტრის თაოსნობით რომ იმართებოდა საღამო რუსთაველის თეატრში და, გიორგის რომ დავურეკე, ჩვენ მონოგრაფია გამოვეცით, ბატონო ვილენ, კავსაძეების შესახებ, მოგართმევთ და გამოიყენეთ, როგორც გნებავთო.

მივედი, მოვინახულე გიორგი, მაჩუქა მონოგრაფია კავსაძეებზე, ამას მწერლისა და ფოლკლორისტის იოსებ მჭედლიშვილის გასული საუკუნის 30-იან წლებში დაწერილი ძალზე საინტერესო მოგონებაისტორია – „მიხა ჯილაურის გუნდი“ – მოაყოლა, რომელსაც, სხვათა შორის, ამ ლეგენდარული გუნდის მიერ შესრულებული სიმღერების კომპაქტდისკიც ახლავს.

ამასობაში გიორგი მოკლედ ჰყვება იმ საქმიანობის შესახებ, რასაც ამჟამად სრულიად გარდაქმნილი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ეწევა. აქ ძალიან გაზრდილა დაფინანსება, შარშან შეუძენიათ მოძრავი ხმის ჩამწერი სტუდია და მთელი საქართველოს მასშტაბით, უკვე ცხრაასამდე სიმღერა ჩაუწერიათ ხანდაზმული ადამიანებისგან, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ცენტრი აწესებს ეროვნულ პრემიას, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა იმ ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართული ფოლკლორის განვითარების საქმეში. ასევე ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად ესახება გიორგი უშიკიშვილს რადიოარხ – „ფოლკრადიოს“ დაარსება, რომელიც მოემსახურება ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას, რადიოთი გადაიცემა აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ფოლკლორის ნიმუშები... საერთოდ კი „ფოლკრადიო“ მოემსახურება ყოველივე ქართულსა და ეროვნულს... ეს არის მოკლედ სულ სამწლიანი გზა აღორძინებული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა, გზა, როგორც გიორგი ამბობს, საბეჭდი მანქანიდან როდიოარხამდე...

ახლა კი, რაც მთავარია, კავსაძეები არ დაგვავიწყდეს!.. მონოგრაფიაში ვეცნობით ქართულ ხელოვნებას შეწირული ამ გვარის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლების – სანდრო, დათაშკა, მიხეილ, ანზორ კავსაძეების მოკლე ბიოგრაფიებს... დათაშკა, ლეგენდარული სანდრო კავსაძის უნიჭიერესი, ტრაგიკული ბედის ვაჟიშვილი გვერდით ედგა მამას აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის შექმნისას, მერე კი სახელმწიფო ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. სამამულო ომი რომ დაიწყო, 34 წლის დათაშკა გაიწვიეს, თუმცა ჯავშანი იფარავდა. წავიდა და მისი ასავალ-დასავალი კარგა ხანს ტაბუდადებული იყო, დაღუპულაო, იტყობინებოდნენ, არადა, ქერჩში ტყვედ ჩავარდნილიყო...

თუ რატომ ედო ტაბუ მამის სახელს, ბატონი კახი კავსაძე გვიხსნის მონოგრაფიის ერთ-ერთ გვერდზე:

**„დათაშკას ჩხრეკისას ფოტოსურათი უპოვეს: მეუღლე და ორი პატარა ბიჭი – მე და იმერი. დიდხანს უყურა გერმანელმა ოფიცერმა ფოტოს, მერე დათაშკას და უთქვამს: ასეთი ცოლ-შვილისა და გარეგნობის კაცი კომუნისტი ვერ იქნებიო. იმჯერად დათაშკა აშკარა სიკვდილს გადაურჩა. ჩვენ დიდხანს არ ვიცოდით მისი ტყვედ ჩავარდნის ამბავი – დაღუპული გვეგონა. გვიან გავიგეთ: საფრანგეთშია, ქართველი ტყვეებისაგან გუნდი შეუქმნია და სიმღერებს ასწავლისო. გერმანელები იმათ უშვებდნენ საკონცენტრაციო ბანაკიდან, ვისაც დასავლეთში ნათესავები ჰყავდა. დათაშკასთან ერთად ტყვედ იმყოფებოდა ვალოდია ხარბედია, საფრანგეთში ჰყავდა ნათესავები და გაუშვეს. სწორედ მას უთქვამს ქართული ემიგრაციისათვის დათაშკა კავსაძის ტყვეობის ამბავი და იგი საფრანგეთის ქართველობამ პარიზში წაიყვანა. მას გუნდის შექმნა შესთავაზეს. ქართული გუნდის შექმნის მიზეზით შედიოდა დათაშკა საკონცენტრაციო ბანაკებში და გამოჰყავდა ქართველები: შევიდოდა და ქართულად იკითხავდა, ვინც ქართველები ხართ, გამოდითო, ვისაც ქართული ესმოდა, ყველა გამოდიოდა – აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი. გერმანელებს უკვირდათ: ამდენი კაცი გუნდში რად გინდათო?! ესენი ავადმყოფები არიან, გამოჯანმრთელდებიან და გაირკვევა, ვის შეუძლია სიმღერა და ვის არაო, – უხსნიდა დათაშკა. ბევრი შემხვედრია მამაჩემის გადარჩენილი. ერთმა ქართველმა მითხრა ავსტრალიაში: მამაშენს ვუთხარი, ცხოვრებაში არ მიმღერია-მეთქი. წადი, წადი, თავს უშველეო. ასე გადაარჩინა უამრავი ადამიანი სიკვდილს. პრაქტიკულად, საკონცენტრაციო ბანაკში ქართველი არ დაღუპულა, მაგრამ, ვინც გადარჩა და დაბრუნდა, აქ ყველა დაიჭირეს და გადაასახლეს“.**

ქართველ ტყვეთა გუნდი საფრანგეთში მართლაც შეიქმნა და, მის ხელმძღვანელზე ადრე, რალაც გზებით გუნდის სურათმა საქართველოში ჩამოაღწია. კახი კავსაძის ოჯახში ახლაც ინახება ეს უნიკალური ფოტო. მაშინ მათთან ჩუმად ბევრი დადიოდა, უკვალოდ დაკარგული შვილების, ქმრებისა და ნათესავების ამოცნობას ლამობდნენ – ფოტოებს ადარებდნენ. ეს ფოტოსურათი დათაშკას მეუღლემ თამარ ცაგარეიშვილმა გადაარჩინა.

1945 წლის დეკემბერში ტყვეთა გუნდი ამერიკაში საგასტროლოდ უნდა წასულიყო. დათაშკა ამის მაგივრად მოსკოვში დაბრუნდა. უზომოდ უნდოდა ცოლ-შვილის ნახვა, შეატყობინა კიდეც თავისიანებს, ჩამოვდივარო, მაგრამ სოჭში აუყვანიათ.

დათაშკა კავსაძე 1952 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა თუ დახვრიტეს. მისი საფლავი უცნობია.

* * *

**აბა, მოგონებები და გულთბილი სიტყვები დათაშკა კავსაძეზე წუხელ იქნებოდა თუ იქნებოდა რუსთაველის თეატრში. ისაუბრებდნენ, ცხადია, კავსაძეთა გვარის ფენომენზე, ისურვებდნენ, ცხადია, რომ არ მოჰკლებოდეს ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს ასეთი გვარები...**

სამწუხაროდ, ვერ დავესწარი ამ საღამოს. ასე იცის ნომერზე მორიგეობამ. თუმცა, შეძლებისდაგვარად და ოპერატიულად შემოგთავაზეთ მასალა, რომელიც, მთავარია, კახი კავსაძეს მოეწონოს (გამოწერილი აქვს ჩვენი გაზეთიძ.

**ⓞ ჩვენებურები**

## „მაძღარი მონების“ გასაჭირი

**ეს ქალბატონი, სხვა უამრავი ქართველი ქალების მსგავსად, საბერძნეთშია გადახვეწილი. – უკვე ექვსი წელია ათენში ვარო, – მეუბნება უკვე სამოც წელს (ასე მითხრა თვითონძ მიტანებული ეთერ ხვიჩია და თან საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადას“ მაწვდის, რომლის ახალი ნომერი სპეციალურად მოიტანა რედაქციაში ჩვენს გასაცნობად.**

– ექვსი წელია ვუვლი იქ მოხუცებს, აქვსი წელია გროშს გროშზე ვადებ და ოჯახს ვუგზავნი, რომ თავი გაიტანონ... იცით, რამდენია ჩემს დღეში?.. ასიათასობით არიან მარტო საბერძნეთში ქართველები, უმეტესად, ქალები, რომლებიც ყოველგვარ „შავ“ სამუშაოს ასრულებენ, თავს იმცირებენ და ოჯახებს ინახავენ საქართველოში...

**– ამ გაზეთს როგორღა სცემთ?**

– წვალებით, არავითარი დაფინანსება არა გვაქვს, დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის, ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის, საბერძნეთში ჩვენსავით არალეგალურად მცხოვრები შესანიშნავი ქალბატონის **ანა ყურშავიშვილის** მხრებზე გადადის მთელი სიმძიმე და ჩვენც ვეხმარებით ჩვენი მწირი სახსრებით.

**– ვინ თქვენ?..**

– სარედაქციო საბჭო, რომელშიც ანა ყურშავიშვილისა და ჩემს გარდა შედიან მაყვალა მესხაძე, ხათუნა ქარსაულიძე, ირმა სილაგაძე, მირიან ზალოშვილი და ნანა მასურაშვილი... ხანდახან ხელს სხვებიც გვიმართავენ ხოლმე.

**– რა თქმა უნდა, ქართველები...**



– ცხადია... ვცდილობთ, გაზეთი ყოველ ორ კვირაში ერთხელ მაინც გამოვიდეს და ქართული სიტყვა მიიტანოს მკითხველამდე. რომ იცოდეთ, როგორ ელიან მის გამოსვლას ჩვენებურები. ზოგის ლექსი იბეჭდება შიგ, ზოგის მოთხრობა, ზოგის სტატია და ჩანახატი, რომლებიც ნოსტალგიითაა გაჟღენთილი და უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ... ვბეჭდავთ მილოცვებს, ნეკროლოგებს...

**– ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებას, რა დახმარება შეუძლია?..**

– იქნებ გაამარტივოს სავიზო რეჟიმი, რომ ათასობით დოლარი არ ჯდებოდეს მიმოსვლა!.. ხალხს ოჯახი, მშობელი ენატრება, არაოფიციალურად, რაღაც გზებით ჩამოდიან (როგორც მე ჩამოვედი ამჯერადძ და მთელი წლის წვალებით ნაშოვნი ფული ამ წასვლა-წამოსვლაში ეხარჯებათ.

**– ისე, ჩვენი საზოგადოება, მაინც და მაინც, აღტაცებული არ არის ქართველების სამშობლოდან გადინებით...**

– აღტაცებული როგორ იქნება, მით უმეტეს, რომ, ზოგ-ზოგები, მართლაც არ იქცევიან წესიერად, შეიძლება ითქვას, რომ არცხვენენ საქართველოს, მაგრამ, უმრავლესობა ხომ იქ მეტისმეტმა გაჭირვებამ წაგვიყვანა? სხვათა შორის, არც ზოგი თქვენი კოლეგა იწონებს ქართველების საზღვარგარეთ სწრაფვას, ერთმა „უძღები შვილები“ გვიწოდა, მეორემ – „გამაძღარი მონები“... თქვენაო, სხვისი ტუალეტების ხეხვა გირჩევნიათ აქ ყოფნასო... და ასე შემდეგ... რას იზამთ, მართლაც, სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო!.. მოგვცეს აქ სამუშაო, ბატონო, ხელისუფლებამ და ვინ ოხერი გაჩერდება უცხოეთში?.. ამ გაზეთის ყოველი სტრიქონი ნოსტალგიითაა სავსე!.. იმას რატომ არ ფიქრობს ჩვენი პრეზიდენტი, იქიდან გამოგზავნილი ფულით რამდენ ოჯახს გააქვს თავი და ეს ოჯახები, სხვათა შორის, ბევრი მისი ამომრჩეველი იყო?! ღმერთმა ნურვინ ჩააგდოს ჩვენს დღეში!..

ვათვალიერებ გაზეთ „ელადას“: პირველივე გვერდზე ესალმებიან ჩვენებურებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, ახლადდანიშნული მინისტრი დიასპორის საკითხებში, ბატონი იულონ გაგოშიძე დიდი იმედებით ავსებს სამშობლოდან გადახვეწილებს, თქვენ მალე დაბრუნდებით ისეთ სამშობლოში, სადაც მართლა გექნებათ ღირსეული ცხოვრების საშუალებაო!

მეტი რა გზაა – უნდა დაიჯერონ. მანამდე კი სამშობლოს მონატრებას ბევრი ამ გაზეთის ფურცლებზე ამხელს...

**ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი**

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



## სააქციო საზოგადოება „ბჟუჟესის“ აქციონერებს

### განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე

2008 წლის 28 მარტი

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ დღევანდელი მონაცემებით წარმოადგენს სს „ბჟუჟესის“ აქციონერს და მისი საწესდებო კაპიტალის 99.785551% აქციების, სულ 476 945 (ოთხასსამოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ორმოცდახუთიძ ცალი აქციის მფლობელს, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ თანმიმდევრულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდებოდა სს „ბჟუჟესის“ აქციონერებისგან აქციათა გამოსყიდვა სამართლიან და გონივრულ ფასად სააქციო საზოგადოებაში უკლებლივ ყველა – 477970 (ოთხას სამოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას სამოცდაათიძ ცალი აქციის შესყიდვის მიზნით.

აქვე გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ დაგეგმილია სს „ბჟუჟესის“ კუთვნილი ენერგომომარაგების ობიექტების რეაბილიტაცია და ამ მიზნით ინვესტორის მოზიდვა, რომლისთვისაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ყველა აქციის ანუ 100%-ის შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას“ კანონიერ მფლობელობაში არსებობა. სწორედ ამ მიზეზითაა განპირობებული შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ განზრახვა ყველა აქციის გამოსყიდვის შესახებ.

ვინაიდან, სს „ბჟუჟესიში“ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გარდა დარჩენილია სამი აქციონერი: 1ძ საწესდებო კაპიტალის 0,0272%-ის, 130 ცალი აქციის მფლობელი მედეა კეკელიძე; 2ძ საწესდებო კაპიტალის 0,083%-ის, 395 ცალი აქციის მფლობელი თეიმურაზ ჩხატარაიშვილი და 3ძ საწესდებო კაპიტალის 0,105%-ის, 500 ცალი აქციის მფლობელი სს „ბჟუჟესი“, აქციონერებს ვთხოვთ წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“ აცნობონ გადაწყვეტილება სს „ბჟუჟესის“ საწესდებო კაპიტალში მათი კუთვნილი წილების 99.785551% წილის მფლობელი აქციონერებისათვის მიყიდვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მივმართოთ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის $53^4$ მუხლის 1 და 2 პუნქტებსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი XXXIV 2-ით დადგენილ წესს და მოვითხოვოთ მედეა კეკელიძის, თეიმურაზ ჩხატარაიშვილისა და სს „ბჟუჟესის“ კუთვნილი აქციების სავალდებულო წესით გამოსყიდვა.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული
კორპორაციის“ გენერალური დირექტორი
**ნათელა თურნავა**

---

ამა წლის 22 აპრილს გაიმართება სს „საქმეტალკომპანიის“ აქციონერთა საერთო კრება 14 საათზე. მის: წინამძღვრიშვილის 110.

**დღის წესრიგი:**

1. სს „საქმეტალკომპანის“ იურიდიული მისამართის ცვლილება;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილება;
3. წლიური შედეგების დამტკიცება.

---

სულთათანა

# შესანიშნავი მეგობარი

დღეს ცხოვრების კანონზომიერების დინება მარადისობაში მიჰყავს ჩვენს მეგობრებში გამორჩეული პიროვნება, უკვე 87 წლის ასაკში ივლიანე თეიმურაზის ძე თოდუა.

ასეთ დროს ხშირად იტყვიან, ვაი რა კაცი მიდის ამ ქვეყნიდან! და, თუ ეს საერთოდ ვინმეზე ითქმის – ჭეშმარიტად უნდა ითქვას ჩვენს უფროს მეგობარზე– ბატონ ივლიანეზე. იგი ჩვენთვის იყო კაცთსაკითხი კაცი, დიდი ღირსებებით და გამოცდილებით სავსე. ამასთან ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, რომელთან ყოველი შეხვედრა გვიქმნიდა სასიკეთო აურას, ჯანსაღ განწყობილებას. მუდამ გვხიბლავდა მისი სასიამოვნო, მსუბუქი, უბოროტო და თან მიზანმიმართული იუმორი. და ეს ყველაფერი უკვე გარდაცვლილისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო ეპითეტი კი არ არის, არამედ გაცილებით უფრო ცოტაა იმის გამოსახატავად, რასაც თვითონ, როგორც ცოცხალი და აწგარდაცვლილი იმსახურებდა. რადგან იგი ასე იყო აღიარებული ჩვენს საზოგადოებაში.



მაინც ვინ იყო ივლიანე თოდუა?

მან საშუალო სკოლა, სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი თბილისში დაამთავრა. სტუდენტობის შემდეგ იყო ხელმძღვანელი კომკავშირულ სამუშაოზე, კერძოდ, ახალციხის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, კომკავშირის ცეკას განყოფილების გამგის მოადგილე, პარტიის ცეკას ინსტრუქტორი, ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. შემდეგ კვლავ პარტიის ცეკაში პასუხისმგებელი ორგანიზატორი; აქედან სასწავლებლად მივლინებულ იქნა მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იყო რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ პასუხისმგებელი მდივანი. შემდეგ კვლავ პარტიის ცეკას აპარატშია. და მერე თითქმის სამი ხუთწლედი იმუშავა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად. სწორედ ზუგდიდში მუშაობის პერიოდი იყო ის გადასახედი, საიდანაც ყველას დასანახი გახდა ბატონი ივლიანე თოდუას, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელის სწორი და მაშტაბური ხედვა, საქმის წარმატების ორგანიზატორული ნიჭი. მის ყოველდღიურობას მუდამ თან ახლდა პრინციპულობა, სამართლიანობა, უანგარო ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობაზე. ამიტომაც, სადაც კი უმუშავია ბატონ ივლიანეს, ყველგან სიყვარული, პატივისცემა, აღიარება დაიმსახურა.

ბოლო სამსახური ი. თოდუასათვის იყო რესპუბლიკური გაზეთი „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორობა. ივლიანე თოდუა სამჯერ ზედიზედ იყო არჩეული საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატად და ასევე უცვლელად მაშინდელი ხელისუფლების ამ უმაღლესი ორგანოს პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით. მათ შორის ღირსების ორდენით.

ბატონი ივლიანე სიტყვის კაცი იყო. ზუსტად ერთი წლის წინათ საყვარელ მეუღლეს დაჰპირდა: „მეც მალე მოვალო“. შეუსრულა კიდეც. წავიდა ჩვენგან შვილების მომფერებელი და მზრუნველი მამა, შვილიშვილების მეტად ტკბილი ბაბუა.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო მეგობარო! უფალს ვთხოვთ ნათელში გვიმყოფოს თქვენი სული.

*უახლოეს მეგობართა ჯგუფი:*

ედუარდ შევარდნაძე, ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, მედეა მეზვრიშვილი, ვალია ხაზალია, გივი ანჩაბაძე, გივი აბზიანიძე, აკაკი ბრეგაძე, ანზორ ბურჯანაძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, გიგო გიგაური, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, თამაზ იმედაძე, გრამიტონ კვარაცხელია, ვახტანგ კვარაცხელია, ადერკინ კოპლატაძე, ნუგზარ ნადარაია, გიორგი ნაჭყებია, სერგო რიგვავა, ბორის სარალიძე, ოთარ ფაცაცია, კიტა შავიშვილი, ანზორ ჩარქსელიანი, ნოდარ ჭითანავა, კლიმენტი ჯანჯღავა, რაულ ჯახია, ბონდო ჯიქია.

---

## სააქციო საზოგადოება „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „მოდების რესპუბლიკური ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს 2008 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით, სს „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ აქციონერებს გიწვევთ საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, ქ.თბილისში, ლესელიძის ქ.№22, 18 საათზე. სააღრიცხვო თარიღი 28.02.2008.**

**დღის წესრიგი:** 1. 2007 წლის ბალანსის დამტკიცება; 2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება; 3. საზოგადოების სახელწოდების შეცვლა. 4. სხვადასხვა.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ქ.თბილისში, ლესელიძის №22ძ, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორატის წინაშე, კრებამდე 10 დღით ადრე.

აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ სს „მოდების რესპუბლიკური ცენტრის“ რეგისტრატორთან – შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“, ა.წ. 16 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ.№74 ა, ტელ: 22 53 51 ფაქსი: 25 19 60.

**საზოგადოების დირექტორი**

---

ხელოვნება

# ვემშვიდობებით გაიოზ გარაშიძეს

ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი, დახვეწილი გარეგნობისა და სულიერების მქონე პიროვნება, ერთგული მეგობარი და თავდადებული ექიმი-ფსიქიატრი. ჭეშმარიტი დემოკრატი, რომელიც ანდამატივით იზიდავდა და სითბოთი ავსებდა ყველასს, ვინც მის თვალსაწიერში ხვდებოდა.

ბატონი გაიოზის პროფესიონალიზმმა, პროგრესულმა ხედვამ, სიკეთემ და ტოლერანტობამ განაპირობა მისი დიდი წვლილი ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტთა ახლებური ხედვისა და პოზიციის ჩამოყალიბებაში. მიმტევებელი და ხელგაშლილი სხვათა მიმართ საკუთარი თავისადმი მკაცრი აღმოჩნდა, ვერ შეეგუა ჯანმრთელობის გაუარესების გამო გამოწვეულ სისუსტეს და არ მოგვცა საშუალება სიცოცხლეში გამოგვეხატა ჩვენი სიყვარული და მადლიერების გრძნობა, შეძლებისდაგვარად დაგვეფასებინა მისი ამაგი.

ვემშვიდობებით ვდიდი გულისტკივილით.

*კავშირი „ამაგის“ გამგეობა*

ნესტარ დუდუჩავა, ლალი ბანძელაძე, მარინა ვარდიმიადი, მარინა გაბრიჩიძე, ქეთევან გიგოლაშვილი, ქეთევან გელაშვილი, მანანა ბოკუჩავა, ნინო ოკრიბელაშვილი, მაით ხუნდაძე, რევაზ ბაქრაძე.

---

უახლოესი მეგობრები ნათელა და შოთა გამყრელიძეები, შვილები აკაკი, მარინა და ხათუნა ოჯახებით იუწყებიან, პოპულარულ მკურნალ ექიმ-ფსიქიატრის

გაიოზ შარაშიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



ედუარდ შევარდნაძე იუწყება ცნობილი საზოგადო მოღვაწის

ივლიანე თოდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

ნათელა ვასაძე, ნუნუ კობერიძე, ლილი ჯილაური, გიგო გიგაური, ოთარ ზუმბულიძე, მიშა მახაშვილი ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ივლიანე თოდუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 IV 14 სთ. მისამართი: ფალიაშვილის ქუჩა 39 ბ.

---

გრამიტონ კვარაცხელია და გიორგი ნაჭყებია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ივლიანე თოდუა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ გუნავა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება საზოგადოებაში საუკეთესო თვისებებით გამორჩეული ჭეშმარიტი მამულიშვილი

ივლიანე თეიმურაზის ძე თოდუა

და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.

---

შპს „საქგზამეცნიერების“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ ორაგველიძეს ძმის

გურამ ორაგველიძის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „საქგზამეცნიერების“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნონა ნაცვლიშვილს მეუღლის

ავთანდილ ნადირაძის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „საქგზამეცნიერების“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რუსუდან მელვინეთუხუცესს მეუღლის

როლანდ შიხიაშვილის

გარდაცვალების გამო.

№ 60. სამშაბათი, 1 აპრილი, 2008 წელი.

# ბოლო გვერდი

● ქაშუეთის ეკლესიაში ზვიად გამსახურდიას 69 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სულის მოსახსენიებელ პარაკლისს დაესწრნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლები, მწერლები და ათობით მოქალაქე



ხსოვნა

## ზვიად გამსახურდიას პარაკლისი



**ქაშუეთის ეკლესიაში ზვიად გამსახურდიას 69 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სულის მოსახსენიებელ პარაკლისს დაესწრნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლები, მწერლები და ათობით მოქალაქე. პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ მომავალის პარტიის ლიდერი გია მაისაშვილი მოვიდა. ოდნავ მოგვიანებით, პარაკლისის აღვლინების შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ.**

— ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო ქალბატონებო, აქ დღეს შევიკრიბეთ იმ ადამიანის გასახსენებლად, ვინც განსაზღვრა ჩვენი გზა და ვინც მამულის თავისუფლებისთვის იბრძოდა. არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ ეღირსება გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ ამდენი ხალხის შეკრება ტელევიზიით გამოუცხადებლად.

**მამა კონსტანტინე, ზვიად გამსახურდიას მოძღვარი:** უფლის მადიდებელი, სამშობლოს გულში ჩამხუტებელი, ფილოსოფოსი, ვინ მოთვლის, რამდენი ტალანტის მფლობელი იყო... დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი 31 მარტს მოევლინა ქვეყანას, მას წმინდა გამსახურდიადაც მოიხსენიებენ. სიმართლე, მართლმადიდებლობის გზა ზვიადის გზაა...

ქაშუეთის ეკლესიაში ზვიად გამსახურდიასადმი მოძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ნოდარ ჯალაღონიამ.

**გია მაისაშვილი, მომავლის პარტიის ლიდერი:** სევდანარევი დაბადების დღეა, მაგრამ სამუდამოდ დარჩება ეს თარიღი, ზვიადი არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, მისი სახელი კი ოქროს ასოებით ჩაიწერება ისტორიაში...

მოგვიანებით პოლიტიკურმა პარტია „თავისუფლებამ“, გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებმა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ზვიად გამსახურდიას საფლავი ყვავილებით შეამკეს.

**მირანდა ფორჩხიძე**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2008 წლის 1 მაისიდან შპს „ჯორჯია-2003“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ პრეტენზია აღნიშნული ორგანიზაციის მიმართ, შეუძლიათ ერთი თვის განმავლობაში მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას.

მისამართი: თბილისი, გოგოლის 9, ტელ: 95-85-27.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

რა არ ხდება

## მაკარტნი მარჯვედ განქორწინდა

**იმ ხმაურიან განქორწინებებს შორის, რომელთა უკან მილიარდები თუ არა, მილიონები მაინც იდგა, იყო ცნობილი მომღერლის პოლ მაკარტნისა და მისი ლამაზმანი ცოლის, ინგლისელი მოდელის ჰიზერ მილზის გაყრაც.** მოდელი და მომღერალი 2002 წელს დაქორწინდნენ, ერთი წლის შემდეგ მათ გოგონაც შეეძინათ, 2006 წელს კი 40 წლის ქალბატონმა განქორწინება მოითხოვა და „მთელი ქვეყანა“ აალაპარაკა. თუმცა ამით 24,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი „გამოიმუშავა“, მაგრამ გაცილებით მეტს — 125 მილიონ გირვანქას მოითხოვდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჰიზერ მელზის ეს მოთხოვნა, რადგან მიიჩნია, რომ პოლ მაკარტნის ქონება 825 მილიონი გირვანქა კი არ იყო, როგორც ჰიზერი ამტკიცებდა, არამედ 400 მილიონი. თანაც ისინი ერთად დიდხანს როდი ცხოვრობდნენ.

საბოლოოდ მილზმა ერთდროული გადასახადის სახით 16,5 მილიონი გირვანქა მიიღო, აგრეთვე უძრავი ქონების შესაძენად და სხვა საყოფაცხოვრებო ხარჯებისთვის 7,8 მილიონი გირვანქა. პატარა გოგონას მოვლა-პატრონობისთვის კი მამას ყოველწლიურად 35 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა დაეკისრა.

სასამართლოს ასეთი ვერდიქტი ჰიზერს არ მოეწონა, ყველაფერი ადვოკატებს გადააბრალა და თავად იკისრა სასამართლოში თავისი ინტერესების დაცვა. მან ცხელ გულზე ჭიქა წყალიც კი შეასხა მაკარტნის ადვოკატს ფიონა შეკლტონს, თავის დროზე პრინცესა დიანას რომ იცავდა პრინც ჩარლზთან განქორწინების დროს.

ბოლოს, ბევრს რომ ველარ მიაღწია, მილზმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საერთოდ კმაყოფილია შედეგებით.

## სიცილსაც ზომა-წონა სჭირდება

**იაპონელმა მეცნიერებმა შექმნეს ხელსაწყო, სიცილის ძალას რომ ზომავს. სპეციალური გადამცემები მაგრდება ლოყებზე, მკერდსა და მუცელზე და წამში სამიათასჯერ აფიქსირებენ ბიოელექტრონული დენების გავლას კუნთებში, სიცილის დროს რომ ამოქმედდებიან ხოლმე.** იაპონელების წინადადებით სიცილის ძალა იზომება aH ერთეულებში. ასე მაგალითად, საშუალო ხუმრობაზე ერთწამიანი სიხარული შეესაბამება დაახლოებით 5 afl. თუ კი ადამიანი მხოლოდ ინტელეგენტურად რეაგირებს რაიმე წახუმრებაზე და ძალად ჩაიცინებს, აპარატი მას ამხელს.



ანეკდოტები

პეტკა და ვასილ ივანიჩი ლუდის რიგში საუბრობენ.

— პარიზში ნამდვილი სამოთხეა. აეროპორტში ჩასულს უზარმაზარი თაიგულით გხვდებიან, მდიდრულ მანქანაში ჩაგსვამენ, ფეშენებელურ სასტუმროში მიგიყვანენ. ძლივს მოასწრებ აბაზანის მიღებას და უმალ რესტორანში ჩაგიყვანენ. უფასოდ ჭამე და სვი რაც გინდა და რამდენიც გინდა. მერე თეატრი. ბრუნდები ნომერში და საწოლიც მზადაა, ნეტარება — უმაღლესი! გამოთხოვებისას კი ათას ევროსაც გაძლევენ...



— შენ რა, ნამყოფი ხან პარიზში?
— არ მქონია ეს ბედნიერება.
— აბა, საიდან იცი ეს ყველაფერი?
— ცოლმა მომიყვა...

* * *

— აბა, როგორაა საქმე? — ეკითხება ერთი მაღაზიის მეპატრონე თავის კოლეგას, — გაზეთში გამოქვეყნებული შენი განცხადება გამოგადგა?

— მერე როგორ, — ღრმად ამოიოხრა მან, — გამოვაქვეყნე თუ არა განცხადება, მაღაზიისთვის ღამის დარაჯი მჭირდება-მეთქი, პირველ ღამესვე პირწმინდად გამქურდეს.

* * *

— ქალო, ეს რა არის, შარვალი რომ სანახევროდ გაგიუთოვებია? — უსაყვედურებს მიხო მაროს.

— მაშ რა გინდოდა, რამდენჯერ გთხოვე უთოს სადენის დაგრძელება...

* * *

კაცები თავიანთ ცოლებზე საუბრობენ.

გერმანელი: — ჩემი ცოლი გერმანელი ნაგაზივივით ავია.

ფრანგი: — ჩემი კი პუდელივით მხიარულია.

რუსი: — ჩემი ცოლიც ძაღლია, მაგრამ არ ვიცი, რა ჯიშისა.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.